ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს ხუთშაბათს და შაბათს

№11 (1521) 10–13 თებერვალი, 1997 წელი

## ნუგზარ ფოფხაძე: მივედით 9 აპრილის თემამდე

მეორე–მერვე გვერდი

## ბ-ნ ვარდიკო ნადიბაიძის პასუხი გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

მესამე გვერდი

## როგორ იშოვა სობჩაკმა 2 მილიონი დოლარი 9 აპრილის ტრაგედიით...

მესამე გვერდი

## ნოდარ წულეისკირი:



### ვაი, იმ მწერლის ბრალი, ვისაც ქორქოლიანობა უნდა, ილია ჭავჭავაძეობა ყველა ქართველი მწერლის იდეალია

მეცხრე გვერდი

## ნოდარ ნათაძე ლექციების კურსით გერმანიაში

მეექვსე გვერდი

სახელდახელო ნანაწერები

## ქართველები

### ფსიქოლოგიური ეტიუდები

მეექვსე გვერდი

## ლატარია ყველასათვის

7 თებერვალს გამართული ტირაჟის შედეგები 12



## ტიციან ტაბიძე

### ლექსი მეწყერი (განხილვა)

მეხუთე გვერდი

## რუსებისაგან „სამი თითის" მორიგი კომბინაცია...

საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, რომ ფოთისა და ბათუმის პორტებში ფაქტიურად აღარ შემოდის გემები რუსეთიდან. რუსეთთან ვაჭრობამ საზღვაო გზით ნულოვან მაჩვენებელს მიაღწია. რუსეთის მთავრობის წევრთა განმარტებით, აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ რფ-ის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა 1994 წლის დეკემბრის თვეში გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც რუსეთის ეკონომიკურ სუბიექტებს აეკრძალათ ვაჭრობა საქართველოსთან. ამის შედეგად გადაიკეტა გზები საქართველოსა და აზერბაიჯანისაკენ. ამჟამად საქართველოში ტვირთები შემოდის ძირითადად თურქეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და უკრაინიდან. ფაქტობრივად, რუსეთში ამ გზით არაფერი აღარ შემოდის. (იბერია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ნუგზარ ფოფხაძე: მივედით 9 აპრილის თემამდე

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო" №70,71,72, 1996 წ. №1,2,3,4,5,6,7,8,9,10 1997 წ.



*– მივედით 9 აპრილის თემამდე. დიდი დისკუსია გაჩაღდა იმის შესახებ, ჩამოფრინდა თუ არა 8 აპრილს შევარდნაძე. ამის შესახებ ლებედიც წერს თავის წიგნში, ხოლო ჯ.პატიაშვილი სპეცთვითმფრინავის ჩამოფრენის ფაქტს ადასტურებს. ოღონდ ვინ იჯდა შიგ არ იცის. თქვენ რას გვეტყოდით?*

– ვიდრე ამ თემაზე გადავალთ, ერთი განცხადება უნდა გავაკეთო, თანაც გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი ბ-ნი ნოდარ გრიგალაშვილი დავიმოწმო, რადგან ახლობლები „მისაყვედურებენ", რად გინდოდაო 9 აპრილის თემის წამოწევა ამ „უდროო" დროს და ა.შ.

მეგონა, პირველივე ინტერვიუში (№71, 26-30 დეკემბერი, 1996 წ.) ავხსენი, თუ რედაქციის ოთხთვიანი „დაბომბვის" შემდეგ, რატომ დავთანხმდი ამ საუბარს. არც იმას სჭირდება დიდი მტკიცება, რომ „9 აპრილის" თემა აქტუალური იქნება, ვიდრე მის მონაწილე-მომსწრეთა თაობა პოლიტიკურად ცოცხალია და მეტ-ნაკლებად არ გარკვეულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა საქართველოს დამოუკიდებლობის ფონზე. მხოლოდ ამის შემდეგ ექნება მას ისტორიული ღირებულება. თუ ჩემთან ვინმეს სადავო აქვს, ვიკამათოთ ფაქტებზე. რაც შეეხება ანალიზს, თვალთახედვას, შეფასებებს, არავის ვახვევ თავს ჩემს მოსაზრებას, არც ვინმეს რამეს ვუმტკიცებ...

სუბიექტური მიზეზიც მარტივია.

მაგრამ ამჯერად სათქმელი მაინც ერთია: „9 აპრილის" თემა საზოგადოებრივ აზრს თავს მოახვიეს აშკარა პოლიტიკური მიზნების გამო – 1995 წლის დამლევს საარჩევნო კამპანიის დროს – პრეზიდენტობის კანდიდატმა პატიაშვილმა და მისმა გუნდმა. მას შემდეგ ეს მოვლენა და მასთან დაკავშირებული საკითხები პრესის ყურადღების ცენტრში მუდმივად ტრიალებს. ინტერესი უფრო გააღვივა სობჩაკის წიგნის სრული ქართული თარგმანის გამოქვეყნებამ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში". შემდეგ ისევ პატიაშვილის პრაქტიკულად საპასუხო გამომწვევი, საბრალდებო გამოსვლა თქვენი გაზეთის არაერთ (!) ნომერში. პარალელურად დაიწყო ენებათალელა რუსეთის თავდაცვის მინისტრის გენერალ როდიონოვის შესაძლო ვიზიტის გამო. და ბოლოს, ჩემი მისამართით თქვენი საჯარო რეპლიკა: „ერთ-ერთმა დიდმა ფუნქციონერმა თავი აარიდა ჩვენს რუბრიკაში მონაწილეობას, ანუ თავი აარიდა პასუხისმგებლობას საკუთარი ერის წინაშე. ჯერჯერობით იმედს ვიტოვებთ, რომ იგი მისთვის გაგზავნილ, ჯერაც გამოუქვეყნებელ კითხვებზე პასუხს გასცემს, ამიტომ გვარს არ ვასახელებთ". (გაზ.„საქართველო", №60, 18-21 ნოემბერი, 1996 წ.). ამ „მუქარას" მოყოლებულ თქვენს „19 მწარე შეკითხვას" ვცდილობ კეთილსინდისიერად ვუპასუხო (თქვენი დაჟინება რომ არა, აქამდეც ათჯერ მოვრჩებოდი) და ყოველივე ამის შემდეგ, საოცარია პირდაპირ, ისევ მე მიწევს „თავის მართლება", იმის გამეორება, რომ ეს დიალოგი ჩემი ინიციატივით არ გამართულა! პატიაშვილმა და გაზეთმა „საქართველომ" მაიძულეს პირველად (!) დამერღვია მრავალწლიანი „დუმილი". არ ამოვიღებდი ხმას და... თქვენი გაზეთი (იხ. იგივე №60) ამისრულებდა „დანაპირებს": „უარის შემთხვევაში გაიხსნება მეორე რუბრიკა „პასუხგაუცემელი კითხვები" ანუ „როცა სილაჩრე ცხადდება გონიერებად"[1] და ამ კითხვებს მწარე პასუხებიც მოჰყვება გაგრძელებებით, ოღონდ ოპონენტებისა..." და ამის შემდეგ ვინმეს პირში ენა როგორ უტრიალდება „სასაყვედუროდ", რომ მე წამოვიწყე ეს დისკუსია?..

*– სწორის ბრძანებთ!*

– კეთილი და პატიოსანი. ახლა მივუბრუნდეთ მორიგ კითხვას – 8 აპრილს თბილისში ვითომდა შევარდნაძის ჩამოფრენის შესახებ. ინფორმაციის წყაროდ თქვენს კითხვაში მითითებულია გენერალ ლებედის წიგნი. იქით მაქვს თქვენთან შეკითხვა: ხომ ვერ დამისახელებთ რომელ წიგნში, რომელ გვერდზე წერს ამას ლებედი? პირადად თქვენ თუ გაქვთ წაკითხული ლებედის წიგნში ეს „მტკიცება"?

*– სამწუხაროდ, თვითონ მართლაც არა მაქვს წაკითხული ეს წიგნი.*

*ჩემი კითხვა ეყრდნობა ლებედის წიგნის ნაწყვეტის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ თარგმანსა და ბ-ნ ჯ.პატიაშვილის პასუხს ასეთსავე შეკითხვაზე, სადაც იგი...*

– ...მართლაც ამბობს, რომ „ლებედის წიგნში, რომელსაც ალბათ უკვე გაეცნო ჩვენი მკითხველი, აღნიშნულია, რომ 8 აპრილს თბილისის აეროპორტში ჩამომდგარ თვითმფრინავში იჯდა ე.შევარდნაძე". (გაზ.„საქართველო", №67, 15-20 დეკემბერი, 1996 წ.) თავის მხრივ კი იქვე დასძენს: „თუ ვინ იყო თვითმფრინავში, მე ეს არ ვიცი, მაგრამ შემიძლია დავადასტურო, რომ 8 აპრილს თბილისში ჩამოფრინდა სპეცთვითმფრინავი. თვითმფრინავს ჩემთან შეთანხმების გარეშე დახვდა გუმბარიძე, რომელმაც საათზე მეტი დაჰყო თვითმფრინავში. ყველაფერი ეს ჩემთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით".

ეს ციტატა საგანგებოდ ორ ნაწილად გავყავი. მეორე ნაწილი ახლა არ მაინტერესებს. ეგ გუმბარიძემ და პატიაშვილმა ერთმანეთში არკვიონ. თუმც, ამ ნაწილში პატიაშვილმა პატარა (?!) „ეშმაკობას" მაინც მიმართა: სამართლებრივად პასუხი რომ არ მოსთხოვონ შესაძლო ცილისწამებისა და ჭორის გავრცელებისთვის, თავი მაინც დაიზღვია – ვინ იყო თვითმფრინავში, მე არ ვიცი...

ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობისთვის მთავარი და გადამწყვეტია ფრაგმენტის ის ნაწილი და აქცენტები, რომელთა დამოწმებითაც ცდილობენ გაამაგრონ 8 აპრილს შევარდნაძის თბილისში ყოფნის ვერსია და აქედან გამომდინარე საზოგადოებრიობას შეუნიღბავად უბიძგებენ „მრავლისმეტყველი დასკვნების" (!) გამოტანისკენ. სწორედ ამ ნიადაგზე ცდილობენ აშკარა პროვოკაციის აგებას! თანაც, მოწმე ვინ არის? ლებედი, რომელსაც მსოფლიოში თითქმის აღიქვამენ, როგორც ელცინის მომავალ მემკვიდრედ! გესმით, ვის ან რატომ უხმობენ მოწმედ, ან, რატომ ამოტივტივდა ეს თემა ასე „დროულად"?!

ახლა მე შესაბამის კომენტარს გავაკეთებ და... ისევ დაიწყება – ფოფხაძე დაკვეთას ასრულებსო!..

დიახ, დაკვეთას ვასრულებ, ოღონდ... საკუთარი თავისას, რადგან ეს ერთობ პრინციპული საკითხია. იგი კიდევ ერთხელ ნათელჰყოფს და ადასტურებს იმ „სტილს, მეთოდებს და ხერხებს", რომელთა არაერთი მაგალითი წინა პუბლიკაციებში მოვიტანე, და ყოველივე ისე ძირფესვიანად აქვთ შესისხლხორცებული, რომ მათგან ვერა და ვერ განთავისუფლდნენ. ერთხელ თავიც გაიუბედურეს და ჩვენც შავ დღეში ჩაგვყარეს. ახლაც არ იშლიან თავისას! და ისევ არ მიტოვებენ სხვა გზას, რადგან, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პოლიტბიუროს წევრი შევარდნაძე იმ ავბედით საღამოს, თურმე, თბილისში ყოფილა და მე – ბაიყუში (სხვამ თავის თავზე თვითონ იფიქროს) შვიდწელიწად-ნახევრის შემდეგ ვიგებ იმ ამბავს, რომელიც, თუ მართალი აღმოჩნდა, დიამეტრულად (!) ცვლის ყველაფერს (!). მეორე – ეს „სენსაცია" უშუალოდ არის დაკავშირებული პატიაშვილის სტრატეგიული ამოცანის განხორციელებასთან – გაიხსენეთ მისი მტკიცება, რომ მას „შეთქმულება" მოუწყო „სხვისმა გუნდმა" და... აჰა, ლებედის „საბუთიც" – ორგანიზატორი, თურმე ნუ იტყვით, თბილისში ჩუმად ჩამოფრენილა და თვითმფრინავიდან მართავდა შეთქმულთ... და ამ შემთხვევაშიც, თუ პატიაშვილი სწორია, მთელი ჩემი შეხედულება და დასკვნები, რომლებიც იმდროინდელ უშუალო შთაბეჭდილებებსა და შემდგომ მრავალწლიან კვლევა-ძიებაზეა დაფუძნებულ-ჩამოყალიბებული, სრულიად ყალბი ყოფილა. და მესამე – წინ მინდა აღვუდგე მორიგ უზნეობას, რადგან საკუთარ თავზე მაქვს ეს „ხერხი" გამოცდილი, თანაც, როგორ?!

ამიტომ, უწინარესად გადაჭრით და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადებ: ეს სიცრუეა და პროვოკაცია! ახლა კი დავასაბუთებ, რატომ არის ასე.

ვგონებ, პატიაშვილს, თქვენსავით, საერთოდ არა აქვს ლებედის წიგნის ეს ფრაგმენტი არათუ წაკითხული, ნანახიც კი და ვიღაცამ მორიგ ანკესზე წამოაგო. თანაც – ადვილად. ეს მისთვის პირველი შემთხვევა არ არის. თუ ასეა, შეცდომისგან არავინ ვართ დაზღვეული და გავასწოროთ. აღიარების შემთხვევაში, ამ საკითხთან დაკავშირებით მასთან პრეტენზია აღარ მექნება. მხოლოდ მასთან!

მაგრამ თუ წაკითხული აქვს? მაშინ ხომ ვერ ვიფიქრებ – ამოდენა მოღვაწემ – ყოფილმა ცკ-ს პირველმა მდივანმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა, ვეებერთელა ინსტიტუტის დირექტორმა ჯარისკაცული ენითა და სიმარტივით დაწერილი ამბავი ვერ გაიგო-მეთქი, და რჩება ერთადერთი დასკვნა: საზოგადოებრიობა შეცდომაში შეჰყავთ, თანაც, გამიზნულად და ბინძურად! რის საფუძველზე ვაძლევ თავს ასეთი ფიქრის უფლებას? აბა, სხვანაირად როგორ ვიფიქრო, თუკი ლებედს მსგავსი არაფერი დაუწერია? დიახ, არ დაუწერია!

თვითონვე დარწმუნდებით, როცა გაეცნობით ფრაგმენტს ალექსანდრე ლებედის წიგნიდან „ЗА ДЕРЖАВУ ОБИДНО..." ეს ფრაგმენტი ამოღებულია 281-282-ე გვერდებიდან და მკითხველს ვთავაზობ ქართულ

გაგრძელება მე-4 გვ.

1. რედაქტორისაგან: ამ დანაპირების აღსრულება, როგორც ჩანს, თავდაცვის მინისტრის ბატონ ვარდიკო ნადიბაიძის მისამართით მოგვიწევს, რადგან მისგან ერთობ თავაზიანი ტონით მოწერილი წერილი, რომელსაც ამავე ნომერში გთავაზობთ, ჩვენს „19 მწარე შეკითხვაზე" პასუხის გაცემისაგან თავის არიდებად უფრო მივიჩნიეთ, ვიდრე რედაქციისადმი მისი პატივისცემის საჯაროდ დადასტურების ფაქტად.

# ბ-ნ ვარდიკო ნადიბაიძის პასუხი

## გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

ძვირფასო მეგობრებო, უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის მთელ შემოქმედებით ჯგუფს და მის მკითხველებს მოგილოცოთ შობა-ახალი წელიწადი. გულითად მადლობას გიხდით ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისა და იმ პატივისათვის, თქვენი გაზეთის რუბრიკაში სტუმრად მოწვევით რომ დამდეთ.

მერწმუნეთ, გადატვირთული სამუშაო დღის მიუხედავად, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ყოველთვის პოულობს დროს, რათა თვალყური ადევნოს ქართულ პრესას და, კერძოდ, იმ საინტერესო მასალებს, რომლებიც თქვენი გაზეთის რუბრიკით „ვინ იყო ვინ?“ ქვეყნდება. მიმაჩნია, რომ ამ თაოსნობით, ფრიად სასარგებლო საქმეს უკეთებთ ჩვენს ქვეყანას და მისი უახლოესი ისტორიით დაინტერესებულ ყველა ადამიანს. პირველყოვლისა, ჩვენ შთამომავლობას, რომელმაც მთელი სიმართლე უნდა იცოდეს იმაზე, თუ რას აკეთებდნენ, როდის აკეთებდნენ და როგორი პასუხისმგებლობით აკეთებდნენ მისი წინაპრები.

აქედან გამომდინარე, მე, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქე, ვალდებულიც კი ვარ ვუპასუხო თქვენს მიერ დასმულ 19 ერთიმეორეზე მწვავე შეკითხვას (რომლებშიც, ნუ დამძრახავთ პირდაპირობისათვის, მაგრამ ჩემი პიროვნებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მაინცდამაინც ვერ გატყობთ).

მაგრამ ჩემი დღევანდელი მდგომარეობა არ მაძლევს შესაძლებლობას, გულის სიმართლითა და ღიად ვისაუბრო ყველა იმ საკითხზე, რაც ჩემი მოღვაწეობის ამა თუ იმ პერიოდთან არის დაკავშირებული.

ამიტომ, ნება მიბოძეთ, საპატიო ვალად მივიღო თქვენს მიერ დასმული შეკითხვები და მათზე საუბარი სამომავლოდ, უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადავდოთ.

პატივისცემით,

საქართველოს თავდაცვის
მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი
ვ.ნადიბაიძე

## საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბ-ნ ვარდიკო ნადიბაიძეს

ბატონო ვარდიკო!

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ჩვენი რედაქციის საქმიანობის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, იმ ყურადღებისათვის, რომელსაც, როგორც თქვენი წერილიდან შევიტყვეთ, იჩენთ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული მასალებისადმი. ასევე მადლობას გწირავთ შობა-ახალი წლის დღეების მილოცვისათვის და ჩვენის მხრივაც გვინდა გისურვოთ წარმატებები თქვენს პირად და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

ამასთან ვიტოვებთ უფლებას გაუწყოთ შემდეგი:

ჩვენ გვესმის, რომ თქვენი დღევანდელი მდგომარეობა მართლაც არ გაძლევთ უფლებას „გულის სიმართლით და ღიად ისაუბროთ ყველა იმ საკითხზე“, რაც თქვენი მოღვაწეობის ამა თუ იმ პერიოდთან არის დაკავშირებული. ჩვენ ისიც გვესმის, რომ თავდაცვის უწყების პირველი პირი ვერ გასცემს და არც სასურველია გასცეს ყოველგვარი ინფორმაცია. ჩვენ გთხოვთ, თუ ჩვენს 19 მწვავე შეკითხვაში არის რომელიმე ისეთი, რომელზე პასუხიც ქვეყნის ინტერესებს არ წაადგება, მათ თქვენვე აუაროთ გვერდი, მაგრამ საერთოდ თქვენი საჯაროდ გამოსვლის სამომავლოდ გადადებას ვერ ჩავთვლით მოტივირებულად.

გარდა მრავალრიცხოვანი მკითხველის ცხოველი ინტერესისა, თქვენი პასუხები რომ აუცილებელია, გვარწმუნებს თქვენივე აღიარება. თქვენ ბრძანებთ, რომ ჩვენ „ფრიად სასარგებლო საქმეს ვუკეთებთ ქვეყანას და მისი უახლოესი ისტორიით დაინტერესებულ ყველა ადამიანს. პირველყოვლისა, ჩვენ შთამომავლობას, რომელმაც მთელი სიმართლე უნდა იცოდეს იმაზე, თუ რას აკეთებდნენ, როდის აკეთებდნენ და როგორი პასუხისმგებლობით აკეთებდნენ მისი წინაპრები“.

ამ მშვენიერი სიტყვების შემდეგ, ვფიქრობთ, აღარ დაგვჭირდება იმ მკაცრი რუბრიკის პუბლიკაცია, რომელზეც ბ-ნ ნუგზარ ფოფხაძის წერილის სქოლიოში გვაქვს საუბარი მე-2 გვერდზე.

ვადასტურებთ თქვენი პიროვნებისადმი პატივისცემას და ვიმედოვნებთ – ახლო მომავალში გამოძებნით დროს დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად.

გაზეთ „საქართველოს“
რედაქცია

### მერიის თანამშრომლები აპირებენ სასამართლოში უჩივლონ სააკაშვილს (?!)

სააგენტოს კორესპონდენტს თბილისის მერიიდან სარწმუნო წყარომ აცნობა, რომ მერიის ზოგიერთი თანამშრომლის სიტყვიერი განცხადებით, ისინი აპირებენ მიმართონ სასამართლოს, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. მათი თქმით, მიხეილ სააკაშვილმა შეურაცხყო მერიის უმწიკვლო და პატიოსანი თანამშრომლების ღირსება. (იბერია)

### მდიდარი სოციალისტი ვახტანგ რჩეულიშვილი გაჭირვებულთა ქომაგობას იჩემებს...

საქართველოს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრმა ვახტანგ რჩეულიშვილმა მოუწოდა ხელისუფლებას, აღიაროს საქართველოს შიდა სახელმწიფო ვალად – 1,5 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის თანხა, რომელიც მოსახლეობას შეტანილი ჰქონდა ანაბრებზე სახელმწიფო შემნახველ სალაროებში და რომელიც გაუფასურდა ბოლო წლების მოვლენების შედეგად. ამჟამად სახელმწიფომ თავის შიდა ვალად აღიარა 40 მლნ აშშ დოლარი. ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, ამ მცირე თანხის გადახდამ შეიძლება უფრო გაართულოს მდგომარეობა. (იბერია)

# როგორ იშოვა სობჩაკმა 2 მილიონი დოლარი 9 აპრილის ტრაგედიით...

*რედაქციისაგან: გაზეთ „საქართველოს“ ერთგულ მკითხველს ემახსოვრება, როდესაც ბ-ნ ჯუმბერ პატიაშვილის პასუხები ქვეყნდებოდა, მან ერთ-ერთ კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა სობჩაკის წიგნი, არჩევნების წინ რომ ითარგმნა ოპერატიულად. ნახეთ მოსკოვში მის შესახებ გამოქვეყნებული წიგნიც, რომლის ავტორია შუტოვი და ობიექტურობისათვის ისიც გააცანით ქართველ მკითხველსო.*

*ჩვენ მოვიძიეთ ეს მასალა. პუბლიკაციის ავტორი შუტოვი გახლავთ პეტერბურგის მერის სობჩაკის ყოფილი თანაშემწე, რომელიც კარგად იცნობს ამ უკანასკნელს და მის ერთობ უარყოფით სურათს გვიხატავს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ, ავტორის თქმით, როცა სობჩაკი პირველ მეუღლეს ყრებოდა, სასამართლოზე განუცხადებია, მკერდის ოპერაცია აქვს გაკეთებული კიბოს გამო და ამიტომ ვეყრებიო...*

*ამ წიგნის სრულად თარგმნა არ მოგვეჩვენა ჩვენი მკითხველისათვის აქტუალურად (ჩვენ მხოლოდ I ნაწილი ჩაგვივარდა ხელთ), მაგრამ ერთი პატარა დეტალი, რომელსაც აქ გთავაზობთ, თავდაყირა აყენებს მითს სობჩაკის „პატიოსანი“ მუშაობის შესახებ თბილისის ამბებში, თუმცა ეს მითი ჩვენთვის არც დღემდე იყო დასაჯერებელი სობჩაკის კომისიის ყოვლად მიუღებელი დასკვნების გამო...*

*ქვემოთ გთავაზობთ მცირე ამონარიდს შუტოვის წიგნიდან.*

თავდაპირველადვე, როდესაც ჩვენ ვმგზავრობდით მანქანით მძღოლის გარეშე, სობჩაკმა დაიწყო წუწუნი თავის რთულ მატერიალურ მდგომარეობაზე, იგი მეუბნებოდა, რომ როგორღაც უნდოდა ეშოვნა ფული. ვიღაცამ ურჩია მას გაეხსნა პატარა იურიდიული კანტორა რეგისტრირებული ცრუ პირების სახელზე, რომელიც გააფორმებდა დოკუმენტებს ჩვენი ბავშვთა სახლებიდან ბავშვების მიყიდვაზე უცხოელებისათვის (?!) თუმცაღა მოთხოვნილება და ფასები დიდი იყო, ამ გეგმას ცუდი მომავალი ჰქონდა, ამიტომ მე არ გამიგია რითი დასრულდა ეს ჩანაფიქრი. მოგვიანებით გაზეთებიდან გავიგე, რომ ბავშვებით ვაჭრობას ადგილი ჰქონდა ჩვენში.

პავლოვს აზრად მოუვიდა დაეწერა რაიმე გასართობი წიგნი, რომელიც კარგად გაიყიდებოდა. შეფს ეს იდეა ძალიან მოეწონა და სასწრაფოდ დაიწყეს იმ კაცის ძებნა, ვინც შეძლებდა მის დაწერას. პავლოვმა შესთავაზა სობჩაკს მაგნიტოფონზე ჩაეწერა მისი შთაბეჭდილებები თბილისში კომისიის მუშაობის შესახებ. პავლოვს ამ ჩანაწერის გადაცემა უნდოდა თავის ნაცნობ მწერლისათვის, რომელიც სობჩაკის სახელით დაწერდა წიგნს. მაგრამ ეს იდეა ჩაიშალა და სობჩაკმა ცოლით თვითონ გაუკეთა ორგანიზაცია წიგნის „Хождение во власть“-ის დაწერას. წიგნის ავტორი იყო ა.ჩერნოვი, რომელიც იმ დროს „მოსკოვსკიე ნოვოსტი“-ში თანამშრომლობდა.

არ ვიცი ნამდვილი იყო თუ არა ეს გვარი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ იგი მაშინ „Московские новости“-ს კორესპონდენტად მუშაობდა. სობჩაკმა შეცვალა პირვანდელი თემაც, რადგან სობჩაკის კომისიის დასკვნები თბილისის ტრაგედიის შესახებ არც თუ ისე კარგი იყო. ეს დასკვნები ძალიან ჰგავდა ულრენის კომისიის დასკვნებს, რომლებმაც ამერიკის პრეზიდენტის ერთადერთ მკვლელად ლი ჰარვი ოსვალდი გამოაცხადეს. სობჩაკმა თავი აარიდა ამ თემის მთელ წიგნად გადაქცევას. დიდი ხნის შემდეგ ნევზოროვთან მისულმა ქართველმა ჩეკისტებმა გვაჩვენეს ჩანაწერი, რომელიც ცხადყოფდა სობჩაკის უზნეო საქციელს თბილისში მომხდარი ტრაგედიის დასკვნებთან დაკავშირებით. სობჩაკის ეს ნაბიჯი არ იყო გამართლებული არც როგორც პარლამენტული არც ადამიანური თვალსაზრისით. მე არ დავიწყებ სობჩაკის მორიგი დაცემის საიდუმლოს გამხელას (ამჯერად ეს თბილისს შეეხება), რადგანაც ეს ისტორიის პრეროგატივაა და გარდა ამისა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის.

ამ წიგნმა დიდი ფული მოუტანა შეფს. ამ წიგნით და თვით სობჩაკის პერსონით დაინტერესდნენ საფრანგეთში. შეფმა მიატოვა ყველა თავისი საქმე და ცოლთან ერთად სასწრაფოდ გაემართა პარიზში. მასთან ერთად გაემგზავრა წიგნის ტექსტის ავტორი ა.ჩერნოვი, პარიზში, პირველსავე საღამოს ისინი შეხვდნენ ა.გინზბურგს და ა.სინიავსკის (ყოფილ დისიდენტებს). მათ ურჩიეს შეფს, რომ თუ მონახავდა ცნობილ და გავლენიან გამომცემელს, და ამასთანავე, იპოვნიდა სპონსორს, იგი მოიგებდა 2 მლნ. დოლარს. სობჩაკს საშინლად გაეხარდა, მას ვერ წარმოედგინა თუ რამდენი ვიდეოს ყიდვა შეიძლებოდა ამ ფულით. თავისი აღფრთოვანება რომ დაემალა, სობჩაკმა თვალები დახარა და დიდი ძალდატანებით მიღწეული სიმშვიდით თქვა: „თანახმა ვარ“.

მოამზადა
ხათუნა აბაზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ ფოფხაძე: მივედით 9 აპრილის თემამდე

მეორე გვერდიდან

თარგმანს:

„... 8 აპრილს, ჩემდამი დაქვემდებარებული დივიზია განგაშის გამოცხადების შემდეგ ფეხზე დადგა, მარშით გაეშურა აეროდრომისკენ და თვითმფრინავების არმადა ჰაერში აიჭრა და სამი პოლკი მზიურ თბილისში გადაიყვანა. მე ერთ-ერთი პირველი თვითმფრინავით დავფრინდი. სატრანსპორტო თვითმფრინავები ერთმანეთის მიყოლებით სხდებოდნენ. მიმდინარეობდა საქმიანი, უხმაურო, ჩვეულებრივი მუშაობა, ტექნიკის, იარაღის გადმოტვირთვა, ადამიანების ეკიპირება, ყველაფერი კოლონებად ეწყობოდა. ერთი სატრანსპორტო თვითმფრინავი გეგმის გარეშე დაჯდა. თვითმფრინავის „მუცლიდან“ მედიდურად ჩამოცურდა ორი გრძელ-გრძელი, ძალიან გრძელი სამთავრობო „ზილი“, რამდენიმე კაციც ჩამოვიდა. პირველი მოდიოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე.ა.შევარდნაძე. მათ ადამიანთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი დახვდა. აზრთა ხანმოკლე გაზიარების შემდეგ ყველანი მანქანებში ჩასხდნენ და ღამის წყვდიადში გაუჩინარდნენ.

დივიზია აეროდრომზე დაეშვა და გაეშურა დანიშნულების ზონებისკენ. გვიანი ღამე იყო, 10 აპრილის დილა თენდებოდა. მე კოლონას მივუძღოდი ქალაქში და მაოცებდა მისი სამარისებური სიჩუმე...“

და ამ ფრაგმენტის შემდეგ მავანი სერიოზულად ამტკიცებს: „ლებედის წიგნში... აღნიშნულია, რომ 8 აპრილს თბილისის აეროპორტში ჩამომდგარ თვითმფრინავში იჯდა ე.შევარდნაძე“? თანაც, ღრმად დაჯერებული იმაში, რომ ამ წიგნს „ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო“ და მოკავშირედაც გაიხადა.

აქ კი ნურას უკაცრავად, მკითხველს შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ, ნურც ჩვენს დონეზე დავაქვეითებთ და „ავანტიურაშიც“ ნუ ჩავითრევთ, რადგან ამ წიგნს იგი გაცნობით კი გაეცნო, მაგრამ პირველკლასელი ბალღივით სრულებით არ სჭირდება იმის ახსნა, რომ ლებედი ტოლსტოი არ არის, მისი თხრობის სტილი და ფრაზა ჯარისკაცული, სხარტი და მარტივია. პირველ ფრაზაში, ასე რომ დააბნია და „გაახარა“ ოპონენტები, მან ასახა პროცესი, რომელსაც ერთადერთი ახსნა აქვს: ლებედმა თბილისში შენაერთის სასწრაფოდ გადაყვანის ბრძანება კი მიიღო სწორედ 8 აპრილს, მაგრამ რაც უნდა საგანგაშო იყოს მდგომარეობა და დაუყოვნებლივ შესასრულებელი ბრძანება, სამი პოლკის მარშისთვის მომზადებას, ტექნიკითა და შეიარაღებითურთ აეროპორტამდე მათ გადაადგილებას, თვითმფრინავებში ჩატვირთვას, ამ არმადის თბილისში ჩამოფრენას გარკვეული დრო მაინც სჭირდებოდა. დასჭირდა კიდეც... ეს არის და ეს – ორჯერ ორივით მარტივი.

ასე რომ, მავანისა და მავანისათვის სასურველი ვერსიის დასადასტურებლად, თითქოსდა შევარდნაძე 8 აპრილს თბილისის აეროპორტში იყო და გუმბარიძესთან ერთსაათიანი „საიდუმლო სერობაც“ გამართა, ლებედი არ გამოდგება, რადგანაც გენერალმა ნახა და წიგნშიც აღწერა იმ დღეებში შევარდნაძის ერთადერთი და ოფიციალური ჩამოსვლა თბილისში.

ამ ამბავს სწორად მოგვითხრობს გენერალი ლებედი – შევარდნაძე, რაზუმოვსკი და მათი თანმხლები პირები სწორედ 9 აპრილის საღამოს ჩამოფრინდნენ თბილისში. და ეს ყველაზე უკეთ იცის პატიაშვილმა, რადგანაც აეროპორტში დამხვდურთა „საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი“, რომელიც შეამჩნია ლებედმა, სწორედ პატიაშვილის მეთაურობით იმყოფებოდა იქ. ამ ბოლო ფაქტს, გასაგებია, რომ არ აღნიშნავს რუსეთის პრეზიდენტობის მომავალი პრეტენდენტი, ვინაიდან იგი მაშინ სახეზე პატიაშვილს კი არა, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატსა და ცკ-ს მდივანს რაზუმოვსკისაც, ეტყობა, არ იცნობდა.

...დაკვირვებულ მკითხველს ბოდიში უნდა მოვუხადო ამ ახსნისთვის. ის უფრო „დიდი ბიძიებისთვის“ არის განკუთვნილი, რადგან ზემოთქმულს რომ „მიხვდე“, მარტო ინტელექტი არ კმარა, ობიექტურობის სურვილიც უნდა გაგაჩნდეს, ალალიც უნდა იყო – ერთ აბზაცში „8 აპრილს“ და მასთან დაკავშირებით შევარდნაძის გვარს რომ მოჰკრავ თვალს, „გახარებულმა“ კითხვა კი არ უნდა შეწყვიტო და ინტერვიუ „გამოაცხო“, არამედ სულსწრაფობას არ უნდა აჰყვე, თავს ძალა დაატანო და... შემდეგი აბზაციც წაიკითხო, რომელშიც შავით თეთრზე წერია, გვიანი ღამე იყო, 10 აპრილის დილა თენდებოდაო (!).

და კიდევ უფრო უკეთესი – თუ, საერთოდ, წიგნის ერთ თავს მაინც თავიდან ბოლომდე წაიკითხავ, მაშინ ასე ალტაცებით რეკლამას არ გაუწევ იმ წიგნს, რომელშიც მეტისმეტად აგდებულად იხსენიებენ... თვითონ შენს პერსონას. მაშინ არ დაიბადება ლოგიკური შეკითხვა: თუ ავტორი საქმეში ჯეროვნად ჩახედულია – ეს კი მართლაც ასეა, რადგან 9 აპრილის ცხელ კვალზე კი ჩამოფრინდა თბილისში, მაგრამ „კომენდანტის საათმა“ უშუალოდ მისი ხელქვეითების ზურგზე გადაიარა და შევარდნაძის ჩამოფრენის ფაქტთან დაკავშირებით მის „მოწმეობას“ უნდა ვენდოთ (და ამის საწინააღმდეგო პირადად მე არაფერი მაქვს), რატომ არ უნდა დავიჯეროთ სხვა რამ, მაგალითად, ის შეფასებები და დახასიათებები, რომლებსაც ის აძლევს პატიაშვილს ან როდიონოვს?

და კიდევ ორიოდე მოსაზრება – არგუმენტი.

ჯერ ერთი, იმ დღეებში, რა გასაკვირია, სპეციალური დანიშნულების არა ერთი და ორი თვითმფრინავი დამჯდარიყო თბილისის აეროპორტში. ამ თვითმფრინავებიდან ზოგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით მოდიოდა, ზოგი – თავდაცვის სამინისტროსი, ზოგიც – „კა-გე-ბესი“. დამხვდურებიც წელზე ფეხს იდგამდნენ – ყველა თავის მკვდარს ტიროდა. ყოველი თვითმფრინავის ჩამოსვლასა და დახვედრას პირველ მდივანს არ შეუთანხმებდნენ. უწინარესად, ეს რატომ უნდა უკვირდეს იმას, ვისი თხოვნითაც „9 აპრილის“ ოპერაციისთვის საჭირო ძალებს თავს უყრიდნენ თბილისში?

რაც შეეხება ე.წ. „ლიტერს“ (პოლიტბიუროს წევრები მხოლოდ ამ გრიფით დაფრინავდნენ), მისი ფრენის მთელ ტრასაზე უშიშროების უზრუნველყოფა, დახვედრა-გაცილების ტექნოლოგია იმდენ დაიდარაბასთან იყო, საერთოდ, დაკავშირებული, რომ, ძნელი დასაჯერებელია, ამ დანიშნულების თვითმფრინავის თბილისში 8 აპრილს გამოჩენა, თანაც „უმაღლესი დონის“ მგზავრით, იმ დროს დამალულიყო.

და მეორე, სრულებით არ უნდა იცნობდე საბჭოური მართვის სისტემას, რომ დაიჯერო „მიამიტობა“ – პოლიტბიუროს წევრი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის ყველა ნაბიჯი მარტო პრესისა და პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრში კი არა, დიდი ქვეყნების სპეცსამსახურების ინტერესების სფეროში მუდმივად იყო, ყველასგან მალულად, სპეციალურად ჩამოფრინდა თბილისში... ადგილობრივი „კაგე-ბეს“ შეფთან გუმბარიძესთან ერთსაათიანი შეხვედრისთვის! უბრალო მაგალითი: თუ ცენტრმა თვითმფრინავების არმადით ლებედის სამი პოლკის თბილისში გადმოსხმა მოახერხა, გუმბარიძის მოსკოვში ჩაფრენა-გამოფრენა გაუჭირდებოდა? ბენზინი ვერ იშოვეს, თუ მაშინდელი „კაგე-ბეს“ ცნობილ მე-9 სამმართველოს დღევანდელი ჩვენი „ორბი“ ემსახურებოდა?

იმისთვის, რომ მომავალში დრო აღარ დავკარგოთ ასეთ ზღაპრებზე, „ურწმუნო თომებისთვის“ კიდევ ორიოდე ინფორმაცია: პირველი – იმდროინდელი ოფიციოზები – გაზეთები „პრავდა“ და „იზვესტია“ 10 აპრილის ნომრებში წერდნენ, რომ 8 აპრილს სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ მიიღო პაკისტანის პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი, გენერალური პროკურორი იახია ბახტიარი. ხანგრძლივი საუბრის ძირითადი თემა ავღანეთის პრობლემის მოგვარება ყოფილა.

თუკი ვინმეს ამ ინფორმაციის შემოწმება დასჭირდა, შეუძლია მიაკითხოს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას, სადაც ინახება ეს ნომრები. რა თქმა უნდა, თუ იმას არ ვიეჭვიანებთ, რომ შვიდწელიწადნახევრის წინათ, ამ გაზეთების რედაქტორებმა უკვე იცოდნენ, რომ... 1996 წლის დეკემბერში გაზეთ „საქართველოში“ ასეთ „ურყევ“ ვერსიას წამოაყენებდნენ და, ამის შესაბამისად, უკვე მაშინვე კარგად გათვლილი ალიბი მოუმზადეს შევარდნაძეს. თუ ესეც არ იკმარეს, გაუგზავნონ ოფიციალური შეკითხვა პაკისტანისა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს. პაკისტანისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, გარწმუნებთ, ამ შეხვედრის ჩანაწერი შენახული იქნება.

მეორე – 8 აპრილს გაიმართა სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს სხდომა, რომელსაც ესწრებოდა ე.შევარდნაძე. ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებზედაც ოპონენტებს ხელი ადვილად მიუწვდებათ, ეს ჩაწერილია.

მესამე – 8 აპრილს, საღამო ხანს შევარდნაძე ტელეფონით ესაუბრა პატიაშვილსა და ნიკოლსკის. ამ ფაქტს შემოწმება ნამდვილად არ სჭირდება.

...ასე რომ, ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილებები და დასკვნები, ჯერჯერობით, უცვლელად რჩება.

– ჯ.პატიაშვილი ასევე ამბობს, რომ გეგმა მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიის განთავისუფლების შესახებ, რომელიც მოიწონეს 8 აპრილის აქტივის კრებაზე, შედგენილია ცკ-ს იდეოლოგიური განყოფილების მიერ. იდეოლოგიურ განყოფილებას კი ხელმძღვანელობდით სწორედ თქვენ – ნუგზარ ფოფხაძე.

– ამ შეკითხვაში აღრეულია თითქმის ყველაფერი. ამიტომ ზოგიერთი რამ უნდა დავაზუსტოთ.

ჯერ ერთი, მე იდეოლოგიური სფეროს კურატორი ვიყავი, ხოლო იდეოლოგიურ განყოფილებას თავისი გამგე ჰყავდა, რომელსაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელი მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება ჰქონდა. და მიუხედავად იმისა, რომ ამ განყოფილების საქმიანობისთვის უშუალოდ პასუხისმგებელი იყვნენ მისი მაშინდელი ხელმძღვანელები – ჯერ, ალექსანდრე იოსელიანი და შემდეგ – ვაჟა ლორთქიფანიძე, მე სრულიადაც არ ვიბან ხელს მათი მუშაობის შედეგებიდან.

მეორე, იმ გეგმის შედგენასთან და განხორციელებასთან, რომლის საფუძველზეც გაათავისუფლეს მთავრობის სახლის მიმდებარე ტრიტორია, იდეოლოგიურ განყოფილებას და მის კურატორს, ე.ი. მე, არავითარი შეხება არ ჰქონია. ეს საკითხთა საკითხია. თავის პუბლიკაციებში და საჯარო გამოსვლებში პატიაშვილი, საერთოდ, მეტისმეტად ზერელედ ეკიდება ტერმინოლოგიას და ბევრი გაუგებრობაც, საზოგადოებრივი ხასიათისა თუ მისი პირადიც, აქედან იღებს სათავეს.

8 აპრილის აქტივზე სულ სხვა გეგმა იქნა „მოწონებული“. ეს იყო ტრადიციული, ტრაფარეტული გეგმა ღონისძიებებისა (პარტიული კრებების, ზოგადი ხასიათის პუბლიკაციების, შეხვედრების, განხილვების და ა.შ.), რომლებსაც, ხელმძღვანელობის ჩანაფიქრით, უნდა უზრუნველეყო ვითარების სტაბილიზაცია. ერთი სიტყვით, ეს იყო მორიგი „ლაი-ლაი“, რომელიც უფრო მომავალ შემმოწმებელთათვის იყო გათვალისწინებული, ვიდრე საქმისათვის და რეალური შედეგების მიღწევისთვის... და მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტებს ეს გააზრებული აქვთ, დაკვირვებული ვარ, მთელი ამ წლების მანძილზე მაინც გამიზნულად ცდილობენ საზოგადოებრიობის ყურადღების გადატანას 8 აპრილის აქტივის კრებისთვის წარდგენილ გეგმაზე, შეგნებულად ბერავენ მის მნიშვნელობას და ამით, ვგონებ, მიაღწიეს კიდეც მთავარ მიზანს – საზოგადოებრიობას პრაქტიკულად დაავიწყეს მთავარი – მომიტინგეთა დარბევის კონკრეტული ოპერაციის გეგმა.

არადა, ეს გეგმა, ისევე, როგორც ამ ტრაგიკული ოპერაციის სავარაუდო დეტალები, განხილული და შეთანხმებული იყო თავდაცვის საბჭოს მიერ, რომლის წევრი არც მე და არც იდეოლოგიური სამსახურის არცერთი წარმომადგენელი არ ეყოფილეართ. ამ საბჭოს თავმჯდომარე იყო თვითონ პატიაშვილი. ის გეგმაც სამხედროებმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ზოგადად მას შეუთანხმეს. თუ როგორ მოხდა ეს – პროცედურა, დეტალები და სხვა, მრავალგზის გამოკვლეული და დამტკიცებულია თვითონ პატიაშვილის მონაწილეობით და მისი ჩვენებების საფუძველზე. თუ მას ახლა მეხსიერება ღალატობს, ყოველთვის შესაძლებელია მისთვის სათანადო დოკუმენტების, მათ შორის მისივე ჩვენებების შეხსენება.



8 აპრილის აქტივს წარედგინა „რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და იდეოლოგიური ღონისძიებების“ მორიგი გეგმა. არც მის შედგენაში მიგვიღია მონაწილეობა არც მე და არც იდეოლოგიურ განყოფილებას. ნეტავ, მიგვეღო! ეგებ თავიდან აგვეცილებინა არა მარტო მრავალწლიანი „ბრალდებები“, არამედ ზოგიერთი პუნქტიც, რომლის მხოლოდ და მხოლოდ ტრიბუნიდან წაკითხვამ (რადგანაც „გეგმა“ აქტივს მე გავაცანი) ამდენი დავიდარაბა დამატეხა თავს. მაგრამ ვიდრე ამის შესახებ მოგითხრობდეთ, მანამდე ერთი გადახვევა.

იმდროინდელ ცკ-ში აშკარად იგრძნობოდა გატაცება ქაღალდებით – გეგმებით, დადგენილებებით, დიაგრამებით, „სამახსოვრო ბარათებით“... ასეთი გეგმა, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ათობით არის შედგენილი და სხვადასხვა დონეზე დამტკიცებული. იყო თუ არა ამის გარდაუვალი აუცილებლობა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა – „შემოქმედება“ მაინც დუღდა. ფორმალურ მხარეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ცკ-ს მეორე მდივანი, რომელიც საორგანიზაციო საქმეებს კურირებდა. ცკ-ს განყოფილებების „გაბრძოლებაზე“ და წუწუნზე, დავიხრჩეთ ამდენი გეგმითო, ნიკოლსკი ღიმილით გვამშვიდებდა: ეს საჭიროა, თქვენზე კარგად ვიცნობ მოსკოვურ სტილს, როცა შეგვამოწმებენ, გეგმები „აჟურში“ უნდა გვქონდესო... თუ მოვლენებს წინ გავუსწრებთ, უნდა ვაღიარო, რომ საბოლოოდ იგი მართალი აღმოჩნდა. 9 აპრილის ტრაგედიის საგამოძიებო კომისიებმა თავიანთი დასკვნები ძირითადად ამ ნიშნებით გამოიტანეს. იმაშიც უნდა გამოვტყდე, რომ არასოდეს მეგონა, თუ ერთი ასეთი ფორმალური ქაღალდი – სხვის მიერ შედგენილი მორიგი „ბლეფი“ – გეგმა, პირადად მე მორალურად ასე ძვირად დამიჯდებოდა.

პატიაშვილმაც კარგად იცის, რომ ამ „გეგმას“ არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა და იგი შედგენილი იყო მხოლოდ ფორმალური მოსაზრებით. უფრო მეტიც, „ექსტრემისტთა“ ლიდერების ნეიტრალიზაციის და კანონმდებლობის ფარგლებში მათი პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნის პუნქტის 400 კაცის თანდასწრებით გამოქვეყნება ცკ-ს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ ჩაიფიქრა მხოლოდ პროპაგანდისტული გაჟონვის მიზნით, რათა მომიტინგენი დაშინებულიყვნენ და დაშლილიყვნენ. ისევე, როგორც რუსთაველის პროსპექტზე აქტივის მიმდინარეობის დროს სამხედრო ტექნიკის დემონსტრაცია და იმ დილით თბილისის ცაზე სამხედრო ვერტმფრენების „პარადი“ მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა.

მან ისიც კარგად იცის, რომ 8 აპრილს გამართული აქტივის კრებისთვის წარდგენილი „გეგმა“ შეადგინეს ცკ-ს მეორე მდივნის კაბინეტში და იგი ბიუროს არცერთ

გაგრძელება მე-8 გვ.

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

# სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები



## ლექსი მეწყერი

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი
თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან
ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს.

მე დავიმალე აპრილის თვეში
გაშლილ ვაშლების
ყვავილებიდან,
მაწვიმს სითეთრე და წვიმის
თქეში
მდის ცრემლებად ჩემ
თვალებიდან.

აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ — ესეც
დარჩება.
ერთ პოეტს მაინც გულზე
მოხვდება
და ეს ეყოფა გამოსარჩლებათ.

იტყვიან ასე: იყო საწყალი,
ორპირის ტბაზე გაზრდილი
ბიჭი;
ლექსები იყო მისი საგზალი,
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი...

და აწვალებდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული
მიწა;
ბედნიერებას მას უმალავდნენ,
ბედნიერება მან ლექსებს
მისცა.
მე არ ვწერ ლექსებს — ლექსი
თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან
ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს.

1927 წ. 17 აპრილი, თბილისი

# ტიციან ტაბიძე

## ლექსი მეწყერი (განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

### შესავალი არარსებულ შესავალთა გამო

ჩემო მკითხველო, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ამ ქვესათაურის წაკითხვისას ვიდრე იმას იტყოდე, ეს რაღა დარდუბალაა, რა ორიგინალურობის ხვაშიადი აგტეხიათ, ბატონო ჩემოო, მოდი, მცირე ხნით ირონიის ჭინკები უკან გამოიძახე და წინ ერთმანეთს გავუძღვეთ, – მე–შენ, შენ–მე. მონაცვლეობით ვიფიქროთ, ერთმანეთს გავუზიაროთ და ერთურთს შევუევსოთ სათქმელი, თორემ თქვენი არ იყოს, მეც კაი დაბნეული და დათრგუნული ვარ ამ „ლექსი მეწყერის" გამო.

ისეთი ლექსია, რომ უნდა დადუმდე, ისმინო და აღფრთოვანდე.

პატივცემული მასწავლებელი კი ჯიუტად ითხოვს, ილაპარაკო ლექსზე, დაწერო მისი განხილვა.

სხვა რა ჩარაა, უნდა დავწეროთ!

მაგრამ როგორია ილაპარაკო იმაზე, თუ რა არის საწყალი კაცისთვის „სიცივისაგან რომ გორავსა", მაცოცხლებელი მზის ამონათება ან სულაც ნაზამთრალ გულში სიყვარულის მზის ამოსვლაზე წერა როგორია? თუმცა, ერთი კია, მშვენიერზე, მით უფრო ხელოვნების მშვენიერზე საუბარი მისი ტკბობით პროცესს ახანგრძლივებს.

მაშ მომყევ, მკითხველო, ვწერ და მომყევი, იფიქრე და მოგყვები...

დიახ, არარსებული შესავლების გამო მოგახსენებდი.

ორიგინალურობის ხვაშიადი აგიტყდაო არა?

ჯერ ერთი, რა უჭირს მერე, განა ჩვენ ტიციან ტაბიძის სამყაროში არ ვტრიალებთ?

ეს „ცისფერყანწელები" ორიგინალურობის გამო თუ ხეებიდან კითხულობდნენ ლექსებს და შუაღამით, ძილშიდაც ბოლომდე შეკრულ ფილისტერ მოქალაქეებს სიმშვიდეს ურღვევდნენ, ამ წყნარი ბაასის გამო, რაღა ჩვენ შეგვაშინოს ამ ერფეროვან ყოფაში ლამის მკრეხელობად მონათლულმა ორიგინალურობამ?

მეორეც, ბატონო ჩემო, შევთანხმდეთ, რომ ლიტერატურაში დაშტამპულ აზროვნებას ყველაფერი სჯობს.

დაბოლოს, არაფერია ორიგინალური იმაში, თუ ვიტყვით, რომ ტიციანის „ლექსი-მეწყერი" ტექსტში არარსებულ, მაგრამ საერთოდ არსებულ პრობლემაზე პასუხით იწყება და მთავრდება.

ეს თეზისი რომ უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ სიმონ ჩიქოვანის საყოველთაოდ ცნობილი სტრიქონები:

„ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი".

ამ სტრიქონებს შესავალი, სხვა ტაეპები წინ არ უძღვის, მაგრამ სწორედ იმის პასუხია, რაც აქ არ წერია, მაგრამ რაც ყველა ჩვენთაგანისათვის აპრიორულად ივარაუდება.

ეს იმ პატკანოვების, ეს იმ იანოვსკების, ეს იმ ვოსტორგოვების, ეს იმ მუხრანსკების პასუხია, რომელთათვისაც საქართველო პატარა ქვეყანაა, გნებავთ პატუა, რომელთათვისაც საქართველო თავშიხელწამოსაკრავი ქვეყანაა. ეს იმ ჭკვათამყოფელების პასუხია, რომელთათვისაც პატარა და მცირერიცხოვანი ერი იდენტური ცნებებია, რომელნიც მრავალრიცხოვნობაში დიდსა და სიდიადეს ხედავენ, მცირერიცხოვნობაში კი პატარასა და კნინს.

აი ასეთი, თავისი სახელი რომ დავარქვათ, „ტარაკანების" თეორიაა დაგულვებული იმ წინათქმად, რომლის გამო პოეტი გაგულისებული შეძახილით იწყებს ლექსს

„ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი".

მსგავს სტრუქტურაზეა აგებული ტიციან ტაბიძის „ლექსი მეწყერი", იმ განსხვავებით, რომ მის „არარსებულ" წინათქმაში როგორც ყოფითი, ისე ესთეტიკური შინაარსის მქონე სათქმელი უნდა დავიგულვოთ, თვით ლექსი კი ტექსტში არარსებული, მაგრამ ნაგულისხმევი წინაისტორიის მაღალმხატვრული და ორიგინალური პასუხი' გახლავთ.

### ყოფითი წინაისტორიის ექო

„ლექსი-მეწყერი" დაწერილია 1927 წელს. ეს არის ღრიო პრაგმატიზმის, უტილიტარიზმის, ეს არის ეპოქა ბოლშევიკური „ესთეტიზმის", როცა პროლეტკულტელებს სიამაყით შეუძლიათ გაიმეორონ რუსი მოსოციალისტო სამოციანელების „გენიალური" აღმოჩენა – ერთი ჩექმა მირჩევნია მთელ პუშკინსო.

ეს არის დრო დაკვეთების, ინსტრუქციების, მუშფაკებში პოეტების „არჩევისა", როცა კალამს ხარაჩოებზე სამსახური ევალებოდა...

როცა ხდებოდა პოეზიის სრული პროფანაცია.

აბა ყური დავუგდოთ თვითონ ტიციანს: „საქართველოში ყოველ ჭორფლიან ქალს თავისი საკუთარი ჰყავდა პოეტი. დღეს ღვთისმშობელი ძირს რომ ჩამოვიდეს, მითხარით მართლა ვინ ეტყვის ლექსს? ლექსებისათვის ვინც მოიცლის ის რა კაცია? ჰკითხეთ თქვენ ნაცნობ პატიოსან პოეტს, თუ ის შინაურია, ვინ უფრო აღელვებს: სტეფან მალარმე თუ დანიელა ურია?" ლექსში „უქმური კვირა" კი იგი დაწერს: ყველაფერი წინ მიდის, პოეზიის გარდა, იწყება ლექსის უკუღმა ელექტროფიკაცია".

ამ სიტუაციაში, როცა პოეტს ლამის ელსმეხით კარნახობს შინსახკომელი თუ პარტიის ინსტრუქტორი რა და როგორ წეროს, როცა პოეზიის ლექსიკის განსაზღვრაც კი ლამის ზემოდან ხდება, შეძრწუნებული პოეტის საპროტესტო ყვირილად ისმის „ლექსი მეწყერის" პირველივე სტრიქონი:

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი
თვითონ მწერს.

### ესთეტიკური სათქმელის წინაისტორიის ექო

ტიციან ტაბიძე „ცისფერი ორდენის" სხვა წევრებთან ერთად კარგა ხანს ნიჰილისტურად იყო განწყობილი მე–19 საუკუნის მეორე ნახევრის მგოსნების (იგი თაყვანს მხოლოდ ვაჟა ფშაველას სცემდა ამ პერიოდიდან) ესთეტიკური პოზიციისადმი, რაც ასახულია მის წერილში „ცისფერი ყანწებით" („ცისფერი ყანწები" №2), რომელშიც მიმოიხილავდა ქართულ მწერლობას, რუსთაველიდან მოყოლებულს.

ტიციანი მიიჩნევდა, რომ 60–იანელებმა „ქართული პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბლად... მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად".

თავის მხრივ კი აცხადებს: „ბესიკის ბაღში ერგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს", რაც სიმბოლურად ქართული პოეზიის ევროპული რადიუსით გამართვას ნიშნავდა, ისე, რომ ქართულ ლექსს ნაციონალური სული არ დაეკარგებოდა.

მაგრამ დგება დრო (დაახლოებით 20-იანი წლების შუახანებში), როცა ტიციან ტაბიძე ახალი არშინით ზომავს ჩვენს დიდ სამოციანელთა პიედესტალებს და როცა სიმბოლიზმსა თუ ყოველგვარ „იზმს" იგი მაღლიდან გადმოხედავს.

ყოველგვარი „იზმი", ყოველგვარი ესთეტიკური კრედო არსებობს მწერლობისთვის, როგორც ახალი რეალობისთვის და არა პირიქით. „ლექსი მეწყერით" ტიციან ტაბიძე ახალ ესთეტიკურ პრინციპსაც ამჟღავნებს პირველივე სტრიქონით – არა „იზმით", არა ესთეტიკური კრედოთი ლექსის წერა, არამედ „უბრალოდ" –

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი
თვითონ მწერს,

ანუ იგი იმ პოეტური კრედოს გამცხობიერებულია, რომელიც პლატონის „იონიდან" იღებს სათავეს და რომლის მიხედვით პოეტი ღვთის რჩეულია, მეტყველი ღვთის პირით, ღვთის რუპორი...

ტიციანი მემკვიდრე ხდება ადრე მის მიერვე უარყოფილი ილიასა და აკაკის ესთეტიკური პრინციპებისა („დიდის ღმერთის საკურთხეველის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში" ან „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა" (ილია), არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამოგზავნა ქვეყნად ცამა" (აკაკი). ტიციან ტაბიძეც არა მხოლოდ ღვთის რჩეულად, გნებავთ ღვთის რუპორად წარმოიდგენს თავს, რომელიც ტკბილ ხმებს გამოსცემს, არამედ კაცად, რომელსაც ეს ბედი იმადაც ხვდა რომ –

„აწვალებდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა".

### ბედნიერება მან ლექსებს მისცა

ახლა, ერთი წუთით, ჩემო მკითხველო, შევწყვიტოთ მსჯელობა და ეჭვის თვალით შევხედოთ ყველაფერ იმას, რაც აქამდე ითქვა.

დასაეჭვებელი კი, გაგიხარიან, მართლაც გაქვს.

ნუთუ ეს ლექსი მხოლოდ იმისთვის დაიწერა, რომ პოეზიის „დახურდავების" წინააღმდეგ გაელაშქრა პოეტს ან თავისი ესთეტიკური მრწამსი გადაესინჯა? ამით ჩვენ ხომ არ ვაუბრალოებთ და ვავულგარულებთ, ზედაპირულს ხომ არ ვხდით ლექსის სათქმელს, ესთეტიური ტკბობის ნაცვლად ხომ არ შემოვაძარცვეთ ის იდუმალი რიდე, რომლის მიღმა პუბლიცისტური პათოსის გარდა ველარა დაგვინახავს რა?

აქ რომ გაგვეწყვიტა მსჯელობა, ჩათვალეთ, რომ თქვენი ეჭვი სავსებით საფუძვლიანია. არათუ ლექსის, ყოველგვარი მშვენიერების ანალიზს თუ სინთეზიც არ ახლავს, მშვენიერის ნაცვლად მხოლოდ ჩონჩხს, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მის აჩრდილსღა თუ დავინახავთ.

აბა კიდევ ერთხელ ჩავიკითხოთ:

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი
თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან
ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მეწყერს
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს"...

იშვიათად წაიკითხავთ პოეზიის მაგიური ძალის შესახებ ასე ვირტუოზულად დაწერილ სტრიქონებს. სიტყვის ქურუმი იგლეჯს საკუთარ გულს და შესაწირავად დებს პარნასზე.

„ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს" – ამ წრფელ ამოძახილს ეხმიანება ლექსის შემდეგი სტრიქონები – „ბედნიერებას მას უმალავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა".

ტიციანის ამ ლექსით პოეტი კი არის ღვთის რჩეული, გნებავთ ღვთის რუპორი, რომელიც არ წერს ლექსებს, რომლისთვისაც ლექსი მხოლოდ ღვთაებრივი საჩუქარია. მაგრამ იმავდროულად იგი, ღვთის რჩეული, სულაც არ არის ნებიერი, უფრო ზუსტად, მისი რჩეულობის პირობა კაცთა შორის სწორედ მისივე მარტოსულობაა.

ბედნიერება მან ლექსებს მისცა – როგორ არ გაგვახსენოს ამ ფრაზამ დორიან გრეი, რომლის ტკივილი, ცოდვა, წელთა სიმძიმე მისსავე პორტრეტზე გადადიოდა, თავად კი ბედნიერი რჩებოდა...

აქ პირიქითაა, პოეტი ყველაფერს, სიხალისეს, სიყვარულს, სიცოცხლეს, ბედნიერებას ატანს ლექსს და რჩება წვიმის თქეში ცრემლად საწური მის თვალებიდან.

„ლექსი მეწყერის" ავტორი იმ კაცს ჰგავს, რომელსაც ცოცხლად ხარშავენ სპილენძის ქვაბში, მის განწირულ ყვირილს კი საამო საგალობლის ხმებად გამოსცემს სპილენძის ცეცხლმოდებული კედლები.

ასე იქმნება ჭეშმარიტი პოეზია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ნოდარ ნათაძე ლექციების კურსით გერმანიაში

*გერმანელ მეცნიერთა მიწვევით ბ-ნი ნ.ნათაძე იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც საუნივერსიტეტო ქალაქებში კითხულობდა ლექციებს. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა მას*

*– ბ-ნო ნოდარ, რა თემას ეძღვნებოდა თქვენი ლექციების ციკლი გერმანიაში?*

– ლექციები ტარდებოდა მასპინძელთა მიერ შემოთავაზებულ თემაზე: „რუსეთის იმპერიული ინტერესები კავკასიაში და ისლამი". მოგეხსენებათ, რომ მე ისლამის სპეციალისტი არ გახლავართ, ამიტომ გერმანიაში გამგზავრებამდე საფუძვლიანი კონსულტაცია გავიარე ბ-ნ ილია დათუნაშვილთან, რომელიც ბოლო საუკუნეების ისლამის ისტორიის სპეციალისტი გახლავთ, აგრეთვე კავკასიის ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე პროფესორ გერონტი გასვიანთან. მიღებული ინფორმაციისა და თეორიული დებულებების შეჯერების შედეგად გამოვიდა მეტად საინტერესო მოხსენება, რომელსაც გერმანელი კოლეგები დიდი ინტერესით გაეცვნენ.

*– ორიოდე სიტყვა თქვენი მოხსნების შინაარსის შესახებ.*

– მოხსენების შინაარსი შეიძლება ორ ძირითად თეზისად ჩამოვაყალიბოთ. პირველი, რუსეთის კოლონიალური პოლიტიკისა და ისლამური რელიგიის დაპირისპირებას ლოკალური ხასიათი გააჩნია, რომელიც იმპერიული პოლიტიკის საკითხებიდან გამომდინარეობს. გლობალურად კი ისინი მოკავშირეებად გვევლინებიან ისეთი საერთო მახასიათებლის მიხედვით, როგორსაც ანტიევროპეიზმი წარმოადგენს. და მეორე, რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში არასოდეს არ ყოფილა მიმართული ისლამის წინააღმდეგ. ეს პოლიტიკა არც პროისლამისტური ხასიათის ყოფილა, მაგრამ მისი ამოცანა ყოველთვის გეოპოლიტიკური ხასიათისა იყო და არავითარ შემთხვევაში რელიგიური. დღესაც რუსეთი უფრთხის კავკასიელი ხალხის ეროვნულ გრძნობებს და არა ისლამურ სულისკვეთებას. ეს უკანასკნელი მას სრულებითაც არ აწუხებს. მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების დინამიკიდან გამომდინარე, ჩემს თავს პატარა პროგნოზის გაკეთების უფლება მივეცი, სადაც აღვნიშნე, რომ შესაძლო მომავალ დაპირისპირებაში ერთის მხრივ მსოფლიოს განვითარებულ უმცირესობასა და მეორეს მხრივ, ნაკლებად განვითარებულ უმრავლესობას შორის, მთის კავკასიელი ხალხები, მათ შორის ჩვენც, პირველ ბანაკში აღმოვჩნდებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ბანაკში იქნება ისლამურ ქვეყანათა უმრავლესობა.

*– ბ-ნო ნოდარ, კმაყოფილი დარჩა თუ არა მსმენელთა აუდიტორია მოხსენების შინაარსით?*

– უნდა მოგახსენოთ, რომ მოხსენება წაკითხული იქნა სამ საუნივერსიტეტო ქალაქში: ფრაიბურგში, ტუბინგენში და ჰაიდელბერგში. ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გარდა მოხსენების თემამ ფართო საზოგადოებრიობაც მოიზიდა. განსაკუთრებით დიდი ინტერესი იგრძნობოდა ჰაიდელბერგში, სადაც მოხსენების გამო წამოჭრილ პრობლემებზე ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა, კამათში რუსი ოპონენტებიც იღებდნენ მონაწილეობას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფაქტობრივი მასალით მომზადებული გახლდით და ამით მოხსენებამ კიდევ უფრო საინტერესო სახე მიიღო. ვფიქრობ, გერმანელი მსმენელი კმაყოფილი დარჩა.

*– თქვენ თვითონ თუ ბრძანდებით კმაყოფილი სემინარის შედეგებით?*

– მე ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ დასავლეთის ელიტარულ აუდიტორიასთან ამგვარ თემებზე საუბარს. მართალია, ადამიანებს, ქვეყნებს, ერებს პირველ რიგში ეკონომიკური, მატერიალური ურთიერთობანი აკავშირებთ, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, თუ ისინი ვისთან აიგივებენ თავს და რა თვალსაზრისით ვისთან აიგივებენ თავს ეროვნულად, კულტურულად, პოლიტიკურად და ასე ვთქვათ ბანაკობრივად. ჩვენ გაგვაჩნია საფუძველი ევროპელ ხალხთან გამოვნახოთ საერთო ენა, ისეთ მიმართულებებში, რომლებშიც სხვა ჩვენი მეზობელი ერები მათთან საერთოს ვერ გამონახავენ. ჩვენ, ჩვენი ისტორიით, სულისკვეთებით, ჩვენი ზოგადეროვნული პრობლემებით უფრო ახლოსა ვართ ევროპელებთან, ვიდრე ვინმე სხვა ჩვენს რეგიონში და ჩვენ ეს უნდა გამოვიყენოთ ამ პოზიციიდან, ის გამოცდილება, რომელიც მე გერმანიაში ყოფნის მანძილზე მივიღე, ერთი პატარა წვლილია იმ საქმეში, რომელსაც ჩვენი მოკავშირეობის გზების ძიება ჰქვია არა მარტო სულიერ, არამედ პოლიტიკურ სფეროშიც. და ეს საქმე მე ძალიან პერსპექტიულად მიმაჩნია. ამჟამად გერმანიაში დატოვებული მაქვს გამოკვლევა ერის, ადამიანის ეროვნული უფლებების, ეროვნულ ჯგუფთა უფლებების, უმცირესობათა და უმრავლესობათა უფლებების შესახებ, ეს არის ზოგადი, თეორიული სახის გამოკვლევა, რომელიც თანამედროვეობის გლობალურ პრობლემებს ეხება და მე იმედი მაქვს, რომ გერმანელ მსმენელთან, კვალიფიციურ აუდიტორიასთან ამ თემებზეც მექნება მომავალში საუბარი.

ესაუბრა
კობა კიკნაძე

---

● *სახელდახელო ჩანაწერები*

# ქართველები

## ფსიქოლოგიური ეტიუდები

### ვახტანგ გოგუაძე

* * *

თანდაყოლილი, ბუნებითი ზრდილობა. შალვა ნუცუბიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები იდგა. გლდანში, ბატონი შალვას სახლში, დიდი ბანკეტია მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად. აქ არიან ქართველი ერის გამოჩენილი ადამიანები. სუფრა მთავრდება. მაგიდის ბოლოს ფეხზე მდგარ მოღვაწეებს ღვინო დავუსხი. გვერდით მდგომ ბატონ ილია ვეკუას ჭიქაში ღვინოს ვუსხამდი. ვილაცამ, ერთ-ერთმა სტუმარმა ბატონ ილიას რაღაც ჰკითხა. ბატონი ილია პასუხს სცემს, თავი მიბრუნებული აქვს მოსაუბრისაკენ, ღვინის ჭიქის ხელი ჩემკენაა გამოწვდილი. დასხმას რომ მოვრჩი, ჭიქის სიმძიმით იგრძნო და მყისვე მობრუნდა, მოასწრო ნახევარ წამში ბოდიშის მოხდა მოსაუბრესთან და მეუბნება: „გმადლობთ გენაცვალე". ეს მეგრული აქცენტით ნათქვამი სიტყვები ისე სავსე იყო სითბოთი, ვერც ერთ კოლეჯში რომ ვერ გასწავლიან. ესაა დაბადებით არისტოკრატიულობა. ესაა კულტურის ადამიანი, საუკუნოვან წესებზე აღზრდილი სული. ამიტომ ჰქვიათ ასეთ ადამიანებს წესიერი, კულტურული. ცივილიზებული ადამიანი ფეხებს მაგიდაზე ცხვირწინ დაგიწყობს. „მე თავისუფალი ადამიანი ვარ და როგორც მსურს, ისე მოვიქცევი". ცივილიზაციის ცნება ისტორიულ კონტექსტში, რა თქმა უნდა, ძირითადად კულტურის ცნებას ემთხვევა. ილია ვეკუა, დიდი მათემატიკოსი, საბჭოთა კავშირის აკადემიის ნამდვილი წევრი, ნოვოსიბირსკის აკადემიის ფუძემდებელი, სოფელ შეშელეთიდან (გალის რაიონი) ჩამოვიდა ბეთლემის ვარსკვლავის წინამძღოლით. სხვა პატრონი მას არ ჰყოლია. ღმერთი თუ გწყალობს, რად გინდა სხვა პატრონი. სინანულით უთხრა ერთხელ ბატონ ვენორ ქვაჩახიას: „ეჰ, ჩემო ვენორ, ჩვენში სახელი თუ ამერიკიდან არ ჩამოიტანე, ისე ვინ გიცნობს".

* * *

1997 წლის 21 იანვარი. 13 საათი. პარლამენტის ფრაქცია „ამომრჩევლის" ოთახში შემოდის ორი უაღრესად სათნო ინტელიგენტი ქალბატონი, არამდიდრულად ჩაცმულნი, ცოტათი მისუსტებულნი, ასე 60 წელს გადაცილებულნი. მოკრძალებით წამოვხტით ფეხზე მე და იქ მყოფი ჩემი ნაცნობ-უცნობნი.

– უკაცრავად, ძალიან დიდ ბოდიშს მოგიხდით, ჩვენ გახლავართ სანეპიდსადგურიდან. თაგვები ხომ არა გყავთ?

– არა, თაგვები მთავრობაში არიან, – ვუპასუხე დაუყოვნებლივ.

– არა, მთავრობაში ვირთხები არიან, ასე გვითხრეს, – თქვა უფრო მოკრძალებულმა ქალბატონმა და სულ არ გულისხმობდა იმას, რაც თქვენ იგულისხმეთ, ძვირფასო მკითხველო. ჩვენი სიცილიც ვერ გაიგეს, კალათში ჩაიხედეს, შეწუხდნენ, ვის დავუყაროთ თაგვების ეს წამალიო.

მთავრობის წევრებო, არ გეწყინოთ, თქვენს შორის ეს ეხება მხოლოდ იმათ, რომელთაც ეხება, სხვას არა.

* * *

„დოქსოპულო, შენ მამა გყავს?"... ამას წინათ მთავრობის ტელეფონების სიას ვკითხულობდი. სამი მარტო გიორგი წერეთელია. იქნება მივაწეროთ გიორგი შავგვრემანი, გიორგი ქერა, გიორგი ახალგაზრდა, გიორგი ლამაზი, გიორგი ულამაზო... ოჯახაშენებულებო, რუსების ჯიბრზე მამის სახელიც დავკარგოთ? ნუ მივმართავთ, „პეტროვიჩ", „პავლოვიჩ"... მაგრამ სიაში, პასპორტებში – რომელმა სოლომონ ბრძენმა დააკანონა ამგვარი „სიბრძნე"? პარლამენტის წევრებს ერთხელ მივმართე პრესით, კერძოდ, ენათმეცნიერს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს სახელისა და გვარის ახლანდელ დასახელებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით თვალშისაცემია სიის კითხვის დროს: გამყრელიძე თამაზ, წივწივაძე თამაზ, გრიგალაშვილი ნოდარ... უნდა იყოს: გამყრელიძე თამაზი, წივწივაძე თამაზი, გრიგალაშვილი ნოდარი. როცა სახელს წინ ვასახელებთ, უნდა იყოს: თამაზ გამყრელიძე, თამაზ წივწივაძე, ნოდარ გრიგალაშვილი. რატომ და როგორ – იმ პატარა წერილში გრამატიკულად ეს ახსნილია. ბატონ თამაზ გამყრელიძეს ვკითხე პასუხი. პასუხად ღიმილი მიბოძა.

* * *

პროფესორ კორნელი დანელიას სახლში 92 წლის აკაკი შანიძე ადღეგრძელა თამადამ, აკადემიკოსმა შოთა ძიძიგურმა. ბატონმა შოთამ ლამაზად მიჰქარგ-მოჰქარგა სადღეგრძელო, ტაშიც დავუკარით, უსურვა ბატონ აკაკის – გრიგოლ ხანძთელის ხნისა გეცოცხლოსო (ხანძთელმა, მოგეხსენებათ, 102 წელი იცოცხლა).

ბატონმა აკაკიმ ჩაახველა და გაეხუმრა თამადას:

– რაო შოთა, ჩემთვის ათი წლის სიცოცხლის მეტი არ გემეტება?

* * *

ორჯერ შევხვედრივარ ევროპის ბაპტისტთა საზოგადოების პრეზიდენტს. სხვა უცხოური კონვესიების წარმომადგენლებთან მრავალ შეხვედრაზე არას ვამბობ.

– იცით რა, მე არ გამოვრიცხავ, რომ თქვენი კონვესია უფრო ახლოს იყოს ქრისტეს ჭეშმარიტ სულთან. შესაძლოა, იგი უკეთესი აღმსარებლობაა, ვიდრე მართლმადიდებლობა, ასევე არ გამოვრიცხავ, თქვენი მშობლები ჩემს მშობლებს სჯობდეს. მივატოვო ჩემი მშობლები და თქვენს მშობლებს ვეშვილო? მართლმადიდებლობა არის საქართველოს ჩვიდმეტსაუკუნოვანი სარწმუნოება. უარს იტყვის ერი თავის რჯულზე, იგი კარგავს ყოველგვარ ღირსებას, ისტორიული კულტურის მემკვიდრეობას. ცოლი შეიძლება გამოიცვალო, მაგრამ მშობლებს ვერ შეიცვლი. შორს ვერ წავა უმშობლო-უწინაპრო ქვეყანა...

მე ვლაპარაკობ სხვა კონვესიებზე, რომელთაც მე პატივსა ვცემ. პატივისცემა იმას არ ნიშნავს, ჩემი რწმენა მივატოვო. მაგრამ ოფიციალური აღმსარებლობებისაგან განსხვავებით, სექტების უმეტესობა, რომელსაც არანაირი საერთაშორისო სტატუსი არა აქვს, ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში და მიზანმიმართულად, მოსყიდვით, გადაბირებით მოღვაწეობს ქართული ეკლესიის ძირის გამოსათხრელად, აღვივებს ეროვნული გრძნობის მიმართ ნიჰილიზმს. რა მნიშვნელობა აქვს, ქართველი ხარ თუ სხვა. თითქოს ეროვნული გრძნობა კარჩაკეტილობაა. კოსმოპოლიტიზმი სჯობიაო, ესაა ქართველი ერის, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მუშაობა. მე ბევრ სექტანტს ვიცნობ. მათ გაცნობიერებული არა აქვთ, რას ემსახურებიან. მე მათ მიმართ არა მაქვს მტრული განწყობილება. მე მათ მოვუწოდებ, ვითარცა ძე შეცდომილთ – დაუბრუნდით მამა-პაპათა გზას, რათა წავიდეთ წინ, მოვუაროთ ჩვენს ქვეყანას, ნუ გავუღებთ ფულიან გადამთიელს კარს, რათა ქართველ ხალხს მონობაში არ ამოძვრეს სული.

არცა ვინმეს ჯიბრზე, ან ვინმეს საამებლად, არცა პირადი მუცელოხრობის კარნახით, ნუ მივატოვებთ ჩვენს წმინდა სალოცავებს, თორემ ნურავის ჰგონია: ფული მოერევა სულს. მოდის დიდი სულიერი შურისძიება ღვთის სანქციითა და არა ოქტომბრის რევოლუციის შტამპით.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №6,7,8,9

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კიდევ ერთი გაერთიანება

სახალხო პარტიის (ეროვნულ-დემოკრატი) პრეს-ცენტრის ცნობით, დასრულდა კონსულტაციები, რომლებიც მიზნად ისახავდა მემარჯვენე - ცენტრისტული, ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეოლოგიის მატარებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ედპ-ს მთავარმა კომიტეტმა და პოლიტიკურმა საბჭომ, ერთის მხრივ (თავ-რე მ.გიორგაძე), და მეორეს მხრივ, საქართველოს სახალხო პარტიის მთავარმა კომიტეტმა (თავ-რე გ.სიხარულიძე) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გაერთიანების შესახებ ერთი საერთო სახელწოდებით - სახალხო პარტია (ეროვნულ-დემოკრატი).

მოწოდებული ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ახლადშექმნილი ორგანიზაცია გაივლის შესაბამის იურიდიულ რეგისტრაციას და გაიმართება ყრილობა. (იფრინდა)

## ნავთობსადენის დასავლეთის მარშრუტთან დაკავშირებით

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ახმედ ზეინალოვმა განაცხადა, კასპიის საბადოებიდან ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების დასავლეთის მარშრუტის მშენებლობის ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ნავთობის ხუთმა კომპანიამ გამოთქვა სურვილი. ესენია: იტალიური კომპანია „საიპენი“, თურქეთის „ატილა დოგანი“, კომპანიების - „ტექფენ-აზფენი“-ს ალიანსი, საქართველოს მილსადენის კომპანია, ახალი ზელანდიისა და ამერიკული კომპანიის „მაკდოულ-პეტროაპაკი“-ს ალიანსი და საფრანგეთ-თურქეთის „სპიკოპაკი-MK“-ს ალიანსი. დასავლეთის მარშრუტის მშენებლობის დაწყება დაგეგმილია მიმდინარე წლის მარტში და იგი 1998 წლის ბოლოს დასრულდება. ტრასის მარშრუტის სიგრძე ბაქოდან სუფსამდე დაახლოებით 960 კმ-ია. (იფრინდა)

## საქენერგო ისევ «ქათმისა და კვერცხის» პირველადობის პრობლემითაა შეწუხებული

სააგენტოს კორესპონდენტს სახელმწიფო კომპანია „საქენერგოდან“ აცნობეს, რომ ა.წ. ივნისიდან 1 კვტ სთ ელექტროენერგიის ღირებულება 4,5 თეთრი გახდება. ამჟამად არსებული ფასი - 3,2 თეთრი არარეალური ფასია და ხელისუფლება დროებით მიდიოდა ამ დათმობაზე. მიმდინარეობს მუშაობა „საქენერგოს“ სისტემაში, რათა მოხდეს ელექტროენერგიის მომხმარებელთა, მათ შორის მოსახლეობის გამრიცხველიანება და ყველა კორპუსმა ცალკე გადაიხადოს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. მაგრამ გამრიცხველიანება რთულ პრობლემას წარმოადგენს. არსებობს რამდენიმე უცხოური ფირმის პროექტი, რათა საქართველოში დამონტაჟდეს კომპიუტერული სისტემა, მაგრამ ამ კომპიუტერული სისტემის დანერგვა საქართველოში ასეულობით მილიონ აშშ დოლარს მოითხოვს. (იბერია)

● პოლემიკა

# „მამები“ იძულებულნი გახდნენ, „შვილებს“ გვარიანად დაუტატანონ...

## უშეცრებანარევ სიცრუეთა სერია სიმართლის სამოსში

შეჩვეულია, ყველა შეგნებული მოქალაქე მიესალმება იმ ფაქტს, რომ განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლების სწავლების შემოღება საშუალო სკოლაში. არც იმას სჭირდება დიდი მტკიცება, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალგაზრდობისათვის ასეთი ცოდნის მიცემა აუცილებელია.

მაგრამ ახალი საგნის სწავლება შეუძლებელია სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის გარეშე. ამასთან დაკავშირებით მეთოდური საკითხების მომზადების მიზნით განათლების სამინისტროსთან შექმნილია „გამოყენებითი ეკონომიკის“ სასწავლო-მეთოდური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია სპეციალისტ-ეკონომისტებით, მეცნიერებით, რომლებსაც ეკონომიკური დისციპლინების სწავლების დიდი გამოცდილება აქვთ. საქმე ადგილიდან უნდა დაძრულიყო... სწორედ აქ იჩინა თავი ისეთმა გაუგებრობამ, რომელიც წამოწყებულ საქმეს ჩაშლით ემუქრება.

სასწავლო-მეთოდურ საბჭოში შემოვიდა ეკონომიკური ცოდნის გავრცელების ფონდის „ჯუნიარ ეჩივმენტ-გეორგიას“ პრეზიდენტის ნ.ორველაშვილის განცხადება, რომელსაც მინისტრისა და მისი მოადგილეების რეზოლუციები ადევს და რომლითაც იგი ითხოვს მეთოდსაბჭომ საქართველოს სკოლების სახელმძღვანელოს გრიფი მისცეს ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე მრავალჯერ გამოცემულ ნაშრომს – „გამოყენებითი ეკონომიკა“, რომელიც ნ.ორველაშვილმა და მისმა მეგობრებმა თარგმნეს.

მეთოდსაბჭომ იმსჯელა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამერიკული წიგნის თარგმნა მისასალმებელია და მისი გამოცემა სასარგებლო საქმეა, მაგრამ თავი შეგვეკავებინა მისთვის სკოლის სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭებისაგან. არგუმენტებად დასახელებულ იქნა შემდეგი: 1) თარგმანი ენობრივად ბევრ უზუსტობას შეიცავს და გასაუმჯობესებელია; 2) წიგნი ასახავს ამერიკის სინამდვილეს, საბაზრო ეკონომიკის ამერიკულ მოდელს და ვრცლად იხილავს ბევრ ისეთ საკითხს, ქართველი მოსწავლისათვის ინტერესს რომ არ წარმოადგენს; 3) სასურველია მოსწავლეებს მივცეთ ეკონომიკური მეცნიერების დღევანდელ მიღწევებზე დაფუძნებული, ქართული სინამდვილის, საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელის ორიგინალური სახელმძღვანელო.

ასეთი გადაწყვეტილებას ნ.ორველაშვილი და მისი ამხანაგები ხიშტებით შეხვდნენ, უფროსი თაობის წარმომადგენლებს აბრალებენ კონსერვატიზმსა და უცოდინრობას („მამები“ ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ საბაზრო ეკონომიკას და „ლილოს ბაზრობას“, თავი გამოტენილი აქვთ მარქსიზმით და ამიტომ ვერ დაწერენ ისეთ სახელმძღვანელოს, როგორიც საჭიროა, ახლა გაახსენდათ პატრიოტიზმი და ა.შ.). მათი ასაკის ნაცნობი ჟურნალისტების დახმარებით გაზეთები (განსაკუთრებით „ალია“ და „რეზონანსი“) ავრცელებს უპასუხისმგებლო, დამახინჯებული მასალებით იმის თაობაზე, რომ გაჩაღდა ბრძოლა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, რომ შვილები იგებენ პირველ რაუნდს და ა.შ.

განსაკუთრებულ განცვიფრებას და აღშფოთებას იწვევს ის ავდებული და ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც გამოავლინეს ამერიკული სახელმძღვანელოს დამცველებმა პატრიოტული, ეროვნული მოტივის მიმართ, ჩვენი იმ არგუმენტის მიმართ, რომ სასურველია ქართველ ახალგაზრდობას ვასწავლოთ ორიგინალური, ქართული სინამდვილის ამსახველი სახელმძღვანელოთი (მაგალითად, წიგნში ფერმის სახელიც ვახსენოთ, მაგრამ ამასთან საითანადოდ დავაფასოთ დ.სარაჯიშვილი, მ.ლალიძე, ძმები ზუბალაშვილები, ხოშტარია და სხვ. ან კიდევ, ჩვენი მოსწავლე ამერიკელი ცხოვრების წესის მიხედვით დაწერილ ნაშრომში ხომ ვერ ამოიკითხავს იმას, რომ ფიზიოკრატიული სკოლის მამამთავარ ფრ.კენეზე დაახლოებით 75 წლით ადრე სვანეთი ნათლად გამოთქვა იგივე შეხედულება ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ სულხან-საბა ორბელიანმა თავის ნაწარმოებში „სიბრძნე სიცრუისა“).

ამას მოჰყვა შემაძრწუნებელი რეაქცია „მამების“ მიმართ: „ანაზდად პატრიოტიზმი მოუძალიათ... რად გვინდა ამერიკული წიგნი, ორიგინალური (!) ქართული სახელმძღვანელო გამოვაცხოთ და „ეროვნული“ მაგალითებით გავამდიდროთო (სავარაუდოდ, ალბათ, „ფენოვანი იაფად“, „ჩიტის რძე – ორი ცალი 25 თეთრად“, „გერმანული სპირალი მუქთად“ და ა.შ.). მოკლედ, გამოყენებითი ეკონომიკის სასკოლო სახელმძღვანელო მეთოდსაბჭოს პატრიოტიზმში „ჩაიხრჩო“ (გაზ. „ალია“, 1997, 7-8 იანვარი).

საქართველოს პარლამენტის წევრმა გ.ჩახვაძემ, რომელიც, ალბათ, სპეციალურად იყო მოწვეული განათლების სამინისტროში ჩატარებულ სხდომაზე ამერიკული სახელმძღვანელოს მხარდასაჭერად, „მამების“ მიმართ ასეთი რამ თქვა: რადა ახლა მოაგონდათ ეს პატრიოტიზმი, სად იყვნენ მაშინ, მოსკოვიდან გამოგზავნილი სახელმძღვანელოებით რომ ასწავლიდნენ ქართველ ახალგაზრდობას. თან დასძინა, ფიზიკისა და მათემატიკის ანალოგიურად, სულ ერთი არ არის ეკონომიკაში ნაშრომს ამერიკელი დაწერს თუ ქართველი?

ნ.ორველაშვილი და მისი მეგობრები ჯერ გამოუცდელი ახალგაზრდები არიან და ბევრი რამ ეპატიებათ, მაგრამ პარლამენტის წევრს, თანაც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს? პარლამენტის წევრობა ყველგან ცხვირის ჩაყოფის უფლებას იძლევა? იქ დასმულ საკითხზე აზრი რომ გამოთქვა, ის მაინც უნდა იცოდე, რომ „მაშინ“ საზოგადოებრივ დისციპლინათა პროგრამების, მეთოდმითითებებისა და სახელმძღვანელოების შედგენა მთლიანად მონოპოლიზებული იყო ცენტრალური ორგანოების მიერ. არც იმის ცოდნა აწყენდა პატივცემულ პარლამენტარს, რომ მიუხედავად „მაშინ“ შექმნილი პირობებისა, ქართველმა ეკონომისტებმა იმ ავადსახსენებელ დროსაც მოახერხეს რამდენიმე სახელმძღვანელოს შექმნა და გამოცემა ქართულ ენაზე, რომელთა ავტორები და რედაქტორები იყვნენ: პროფ. ა.ფანცხავა (2 წიგნი); პროფ. ნ.ტყეშელაშვილი; პროფესორები გ.ჭანტურიძე, ლ.ჩიქავა, ი.ქვაჩახია და სხვ. (2 წიგნი); პროფესორები ო.მაღლაფერიძე, რ.მელაძე, და სხვ.

გულდასაწყვეტად გვეგონა, რომ პატრიოტული მოტივისადმი ასეთი ცინიკური დამოკიდებულების საპასუხო რეაქცია განათლების სამინისტროს მხრივ იქნებოდა კატეგორიული და შეურიგებელი. მოვტყუვდით: ეს რეაქცია ფაქტობრივად ამოიწურა წამოძახილით: „რა უჭირს მერე?“

სრულ უვიცობაზეა აგებული ნ.ორველაშვილისა და ძმათა მისთა „ფილოსოფია“: საქართველოში ჯერ არ გვაქვს სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა, ამიტომ ორიგინალური სახელმძღვანელოს დაწერაც შეუძლებელია. მაშასადამე, აუცილებელია ჩვენს ბავშვებს სახელმძღვანელოდ მივცეთ სხვა ქვეყნის მაგალითზე დაწერილი წიგნი“.

ნ.ორველაშვილი და მისი ძმაკაცები ამტკიცებენ, რომ „მამებმა“ არ იციან, რა არის საბაზრო ეკონომიკა (იგი „ისნის, ლილოს ან ვაგზლის ბაზრობა ჰგონიათ“) და ვერც ისწავლიან და, მაშასადამე, სახელმძღვანელოსაც ვერ დაწერენ, რადგან თავები მარქსიზმით აქვთ გამოჭედილი და „სოციალისტური (?) მატერიალიზმის“ აპოლოგეტებად გვევლინებიან.

ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ „მამებს“ ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდათ კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ეს მათი ბედისწერაა და არა დანაშაული, ისევე როგორც ნ.ორველაშვილისა და მისი ძმაკაცების ბედია და არა დამსახურება ის, რომ ისინი ახლა გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე.

მეორე, ნ.ორველაშვილისა და მისი ძმაკაცებისათვის, რა თქმა უნდა, ძნელი გასაგები იქნება ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ საბაზრო ეკონომიკის გაგებას ხელს კი არ უშლის, არამედ ეხმარება მისი ალტერნატიული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ზედმიწევნითი ცოდნა, რაც „მამებს“ გააჩნიათ.

მესამე, უმეცრება და მრუდხედვაა კ.მარქსის აგდებული მოხსენიება. ნ.ორველაშვილის დონის ეკონომისტსაც კი უნდა მოეხსენებოდეს, რომ კ.მარქსი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტია. მას, ალბათ, არც უნახავს სულ ახლახან გამოცემული წიგნები, რომლებსაც სამი ბუმბერაზი მოაზროვნის ა.სმიტის, კ.მარქსისა და ჯ.კეინსის – სახელები და სურათები ამშვენებს. უფრო მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ ის წიგნიც არა აქვთ სათანადოდ გაცნობიერებული, რომლისთვის გრიფის მინიჭებაზე ამდენი ხმაური ატეხეს. იქ შავით თეთრზე წერია: „...როგორც ეკონომისტი კეინსი ადამ სმიტისა და კარლ მარქსის დონეზე დგას“ (იხ.თარგმანის გვ. 157). მხოლოდ ბრიყვს შეუძლია კაცს ნაკლად ჩაუთვალოს ის, რომ მან კ.მარქსის „კაპიტალი“ იცის, ხოლო თვითონ თავი მოსწონდეს იმით, რომ ეს გენიალური ნაწარმოები არ წაუკითხავს.

მეოთხე, საინტერესოა, რომელი კემბრიჯი ან ოქსფორდი აქვთ დამთავრებული ორველაშვილსა და მის ძმაკაცებს, რომ საბაზრო ეკონომიკის უკეთ ცოდნით იკვეხნიან? რატომ ჰგონიათ ორველაშვილებს, რომ „მამები“ ისე უნიჭონი არიან, რომ ვერ მოახერხებდნენ თავიანთი ცოდნის შევსებას. გარდა ამისა, ორველაშვილებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ უფროსი თაობის ბევრ წარმომადგენელს ლიტერატურა საბაზრო ეკონომიკის შესახებ ორველაშვილისა და მისი ძმაკაცების დაბადებამდე ჰქონდა წაკითხული და შესწავლილი (ოღონდ ოფიციოზის მიერ მას ტაბუ ჰქონდა დადებული).

„ბრალდებები“, რომლებსაც ორველაშვილი და მისი ძმაკაცები აყენებენ „მამების“ მიმართ, უზრდელობის, უვიცობის, სიცრუისა და სიბრიყვის ისეთი ნარევია, რომ ვერ გაიგებ, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ამიტომ „მამები“ კარგა ხანს ვფიქრობდით, საერთოდ არ გვეპასუხა მათთვის. ბოლოს მაინც გადავწყვიტეთ ამ წერილის დაწერა. აზრი შევიცვალეთ იმის გამო, რომ ჩვენმა თავის შეკავებამ გაათამამა ორველაშვილი და მისი ამხანაგები. იფიქრეს, ამათ სათქმელი არაფერი აქვთ და აუწერელი ცილისმწამებლური ჯირითი გამართეს პრესაში.

პრესკონფერენციაზე ნიკო ორველაშვილის მიერ მიცემული განმარტებებისა და საერთოდ მისი „ნაზრევის“ მეხოტბე ჟურნალისტთა (ლ.ასლანიშვილი, თ.ხორბალაძე, ფ.დარჩია, რ.საყვარელიძე, გ.კალანდაძე და სხვ.) წერილებში (იხ. „ახალი თაობა“, 1996, 23.XI., „დრონი“, 1996, 26.XI; „ალია“, 1997, 17-18. I; „რეზონანსი“; 1997, 17.I; „ალია“; 1997, 17-18.I), რომლებიც არსებითად „შვილების მხედართმთავრის“ (როგორც გაზეთებშია მოხსენიებული) ნ.ორველაშვილის მიერაა დაწერილი (ან ნაკარნახევი), თითქმის ყოველ აბზაცში გვხვდება შხამით გაჟღენთილი სიცრუე, რომელიც მკითხველის დეზინფორმაციას იწვევს. დავასახელებთ ზოგიერთს მარტო გაზეთ „ალიას“ ერთი ნომრიდან (1997, 7-8.I).

– „საქართველოში „საბაზრო ეკონომიკის ანბანის შესასწავლად ჯერჯერობით მეტნაკლებად სრულყოფილი სახელმძღვანელო არ მოიპოვება“.

ახალგაზრდებს თუ არ წაუკითხავთ, გარეკანზე მაინც უნდა შეეხედათ საბაზრო ეკონომიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო ლიტერატურისათვის, როგორიცაა რ.ბასარიასა და ი.მესხიას, ი.ქვაჩახიას, რ.ასათიანის, რ.გოგოხიას, ე.ბოლოკაძის, ჯ.კახნიაშვილის, ვ.პაპავასა და ავტორთა კოლექტივის, რ.ციციაშვილის და სხვ. ნაშრომები.

– „განათლების სამინისტროსთან არსებულმა მეთოდსაბჭომ ამერიკული წიგნი „გამოყენებითი ეკონომიკა“ აპრიორულად დაიწუნა“.

სინამდვილეში მეთოდსაბჭომ წიგნი კი არ დაიწუნა, არამედ მისი უხეიროდ შესრულებული ქართული თარგმანი და, ამასთან ერთად, არ დაეთანხმა ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოდ სამინისტროს გრიფით მის გამოცემას. საკმარისად მიიჩნია მოსწავლეებისათვის მისი მიწოდება დამხმარე სახელმძღვანელოს სტატუსით.

– „საბაზრო ეკონომიკა ... „შვილებს“ ბაზრობა ჰგონიათ“.

თურმე ეს ჩანს იქიდან, რომ „ძველებს“ საბაზრო ეკონომიკა ვერ წარმოუდგენიათ სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე. ვინც ამ საკითხებში ოდნავ მაინც ჩახედულია, ადვილად მიხვდება, საბაზრო ეკონომიკა თუ ვის ჰგონია ლილოს ბაზრობა.

– „ხსენებული სახელმძღვანელოს თარგმნა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიამ დაიწყო, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ ეს უფლება სერგს-ცენტრს ჰქონდა ოფიციალურად დაკანონებული, „ფირფიტა“ თავის ჭკუაზე შეატრიალა, საბაზრო და სოციალისტური ეკონომიკის ნაზავი წიგნი „გამოჩეკა“ და მის ლობირებას ცდილობს“.

ჯერ ერთი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის არცერთ წევრს არ უცდია ამ წიგნის თარგმნა, ამიტომ მის შეწყვეტაზე ლაპარაკიც ზედმეტია; და მეორე, ამ აკადემიის პრეზიდენტის პროფ.ლ.ჩიქავას მიერ მომზადებული სახელმძღვანელო (რომელიც აქვთ ამჟამად მხედველობაში) თუ რისი ნაზავია, არ შეიძლება იცოდნენ ამ ახალგაზრდებმა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ერთადერთი ხელნაწერი ეგზემპლიარის სახით ჯერჯერობით ავტორის სამუშაო მაგიდაზე დევს (ხდება მისი სრულყოფა) და მათ არა მარტო წაკითხვა, არამედ შეხედვის საშუალებაც არ ჰქონდათ.

– ნ.ორველაშვილის „პროექტის ამუშავებას „დიდი თეორიული მხარდაჭერაც აქვს (პროექტის ამუშავების დიდ სურვილს გამოთქვამენ თემურ ბასილია, მერაბ კაკულია, ლადო პაპავა). საქმეს, სამწუხაროდ, მხოლოდ განათლების სამინისტროს არაოპერატიულობა, საქმისადმი არცთუ ყურადღებიანი დამოკიდებულება და მეთოდსაბჭოს გადაულახავი წინააღმდეგობა... ვნებს“.

ზემოაღნიშნული წიგნის ქართული თარგმანის გამოქვეყნებისა და მკითხველისათვის რაც შეიძლება სწრაფად მიწოდების წინააღმდეგი არავინ არაა (მით უმეტეს, მეთოდსაბჭოს წევრები). რაც შეეხება სასკოლო სახელმძღვანელოდ სამინისტროს გრიფით მის დამტკიცებას, დასახელებულ პიროვნებებს ამის სასარგებლო მოსაზრება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსად არ გამოუთქვამთ.

– „საკითხის განხილვის დროს მეთოდსაბჭოს სხდომას განათლების სამინისტროს არცერთი წარმომადგენელი არ დასწრებია“.

სინამდვილეში პირველ სხდომას არა მარტო ესწრებოდა, არამედ თავმჯდომარეობდა განათლების მინისტრის მოადგილე ქალბატონი მ.გოცირიძე, მეორეს კი ესწრებოდნენ სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები პ.ჩხენკელი და გ.გვარამია.

– „დასასრულს უნდა დავასკვნათ, რომ მალე საქართველოს სკოლებში ეკონომიკის შესწავლის მსურველ მოსწავლეებს პრაქტიკული კურსის გასავლელად თბილისის რომელიმე ბაზრობაზე გაამწესებენ“.

ეს ორველაშვილების ცინიზმი და ფანტაზიაა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან არავინ არ აპირებს პრაქტიკის გასავლელად მოსწავლეების თბილისის რომელიმე ბაზრობაზე გამწესებას.

აღარაფერს ვამბობთ ფაქტობრივ ადრესებზე, რასაც ადგილი აქვს ზემოაღნიშნულ წერილში (და სხვა წერილებშიც): საკითხის განხილვაში მონაწილე ერთი პიროვნების ნათქვამი მიწერილია მეორეზე, ზოგიერთს „დაბრალებული“ აქვს პარლამენტის წევრობა და, წარმოიდგინეთ, ცალკეულ პირებს შეცვლილი აქვთ სახელი და გვარიც (გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის ლეო ჩიქვანაიას პორტრეტს ქვემოთ მიწერილი აქვს ლეო ჩიქავა, თანაც სიტყვებითურთ, რომელიც მას არ წარმოუთქვამს).

ვის სჭირდება ასეთი დეზინფორმაცია? პრესის მუშაკებს ვთხოვთ, მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ მკითხველისადმი ინფორმაციის მიწოდებისას. პრესის თავისუფლება არ უნდა იქცეს სიყალბის სიმართლედ გასაღების საშუალებად.

პროფესორები
ოთარ მაღლაფერიძე
იროდიონ ქვაჩახია
ლეო ჩიქავა

მეოთხე გვერდიდან

# ნუგზარ ფოფხაძე: მივედით 9 აპრილის თემამდე

წერს, მისი და ნიკოლსკის გარდა, ბოლო წუთამდე არ უნახავს. ამის თაობაზე სობჩაკის წიგნში გამოქვეყნებულია ჩემი განმარტებაც, დაწვრილებით გავაცანი საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიასაც, რაც ნაწილობრივ აისახა კიდეც მის დასკვნაში. იცის, მაგრამ აქცენტი მაინც იდეოლოგების „ავტორობაზე" გადააქვს. ეს არ ხდება შემთხვევით.

...ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომ და როგორ გამოვაქვეყნე აქტივის კრებაზე ეს „გეგმა".

...აქტივის კრების დაწყებამდე ათი-თხუთმეტი წუთით ადრე ცკ-ს საერთო განყოფილების სექტორის გამგემ ფირცხალავამ ვიზისთვის შემომიტანა ნიკოლსკისგან უკვე ხელმოწერილი ბიუროს დადგენილების პროექტი, ოღონდ – „უგეგმოდ". თანაც, ეტყობა, ნიკოლსკიმ გაითვალისწინა, რომ ძირითადი დოკუმენტის გარეშე, შეიძლება წუწუნი დამეწყო და პროექტისთვის ხელი არ მომეწერა, ამიტომ ჩემთვის გადმოსაცემად ფირცხალავას დაავალა, გეგმა ქსეროქსზე მრავლდება და აქტივზე გაეცნობიო. აქტივის დოკუმენტების – „ღონისძიებათა გეგმისა" და „მოსახლეობისადმი ცკ-ს მიმართვის" მომზადების შესახებ წინა საღამოს გამართულ ბიუროზე იყო საუბარი. „მიმართვის" მომზადება და აქტივის კრებისთვის მისი წარდგენა მე დამავალეს. „გეგმა" ნიკოლსკიმ იკისრა, ხოლო წაკითხვა – ნოდარ ჭითანავას გადაულოცეს. არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი ასეთი „ფაცი-ფუცი", თანაც ექსტრემალური ვითარება იყო და ორწინადადებიან პროექტს ხელი მოვაწერე. არც მე მქონდა იმის თავი, რომ „კინკლაობაში" დრო დამეკარგა – „მიმართვის" ტექსტის სასწრაფო შედგენას და მისი საბოლოო ვარიანტის გასწორებასაც კი ველარ ვასწრებდი.

რამდენიმე წუთის დაგვიანებით ჩავირბინე აქტივზე. შესვლისთანავე პატიაშვილი საქაღალდეს მაწვდის, შენ უნდა წაიკითხოო!

...ცოტა ხნით ადრე მისთვის უკვე გაგზავნილი მქონდა ცკ-ს „მიმართვის" ვარიანტი და, ვიფიქრე, ალბათ იმ ჩემს ტექსტს მიბრუნებს-მეთქი. იქით ვკითხე, შენიშვნები თუ გაქვთ-მეთქი. არა, შეგიძლია პირდაპირ წაიკითხოო!

პრეზიდიუმში შესვლისთანავე საქაღალდე გადავდე, ისევ ჩემს მასალაზე მუშაობა განვაგრძე – კორექტურა დავამთავრე და ვიდრე საბოლოო ვარიანტს გადასაბეჭდად მივცემდი, გავიფიქრე, პატიაშვილის მიერ გადმოცემულ ტექსტშიაც ჩავიხედავ, ეგებ, რაიმე შენიშვნა მაინც აქვს და ბარემ მათაც ძირითად ტექსტში გადავიტან-მეთქი. საქაღალდე გადავშალე და... შიგ, ჩემი მასალის მაგივრად ის დაწყევლილი „გეგმა" აღმოვაჩინე.

ვიფიქრე, შეეშალა-მეთქი, რადგან, როგორც წელან მოგახსენეთ, წინასწარ მოლაპარაკებული ვიყავით: მე ჩემი ნაცოდვილარი – „ცკ-ს მიმართვა" უნდა გამეცნო აქტივისთვის, „გეგმა" კი სხვას – ცკ-ს მდივანს ნოდარ ჭითანავას უნდა წაეკითხა. ამიტომ „საქაღალდე" დავკეცე და პატიაშვილსა და ჩემს შორის მჯდომ ნიკოლსკის ვთხოვე, შეცდომით გადმომცა და პირველ მდივანს დაუბრუნეთ-მეთქი.

ნიკოლსკიმ ჩახედა „საქაღალდეს", რაღაც უჩურჩულა პატიაშვილს და, მისი თანხმობის შემდეგ, უკან დამიბრუნა: არაფერი შეშლია, ესეც შენ უნდა წაიკითხოო!

ახლა უკვე დაკვირვებით ჩავხედე დოკუმენტს და გაცნობის შემდეგ „საქაღალდე" ისევ ნიკოლსკის გადავულოცე, თანაც კატეგორიულად ჩავულაპარაკე – ამას მე არ წავიკითხავ-მეთქი. პატიაშვილის დავალებააო, არანაკლები კატეგორიულობით მიპასუხებს ნიკოლსკი და... „ბურთაობა" გაგრძელდა.

ყველაფერი ეს აქტივის პრეზიდიუმში ხდება. ვგრძნობ, რომ დარბაზში მყოფთა ყურადღებას ვიქცევ. შესაძლოა უხერხული ვითარება შეიქმნას. ამიტომ გავყუჩდი, გეგმის რამდენიმე პუნქტს სქელი კითხვის ნიშანი დავუსვი, ზედ პატარა ბარათიც მივაკარი და „საქაღალდე" ისევ უფროსებს გადავაწოდე.

...მართვის აპარატში მრავალი წლის მუშაობის მანძილზე ერთი თვისება წესად დამჩემდა – სამსახურებრივი დანიშნულების ქაღალდის პაწია ნაგლეჯსაც კი უმალ არ გადავაგდებ. ასე გროვდება, დროთა განმავლობაში, პირადი არქივი, თანდათანობით დაწმენდილი, დახარისხებული, მდიდარი... ბევრი მაშინდელი საინტერესო და



მრავლისმეტყველი დოკუმენტი, ზოგის „შავი" პირი, ზოგიც – ორიგინალი ხელთა მაქვს.

აი, ეს, რუსულად დაწერილი ბარათის თარგმანიც:

„ჯუმბერ ილიჩ, ბორის ვასილიევიჩ!

1. ამ გეგმის ზოგიერთი პუნქტი ეჭვს იწვევს.

– ღირს თუ არა მათი აქ წაკითხვა?

– ეს არ არის პარტიული პრეროგატივა;

– ნ.ჭავჭავაძე აღშფოთდება (ექსტრემისტთა საწინააღმდეგო სპეც.ჯგუფები).

2. მე მიმართვას ვკითხულობ. გეგმა, ეგებ, ჭითანავამ წაიკითხოს. ნ.ფოფხაძე".

ვიდრე ამ თემას განვაგრძობდე, აუცილებლად მიმაჩნია ახსნა იმ ფრაზისა, რომელიც აკად. ნ.ჭავჭავაძის აღშფოთებას ეხება.

ასეთივე გეგმა ცკ-ში 1988 წლის ოქტომბერშიც შემუშავდა (8 აპრილის გეგმა წყლის ორი წვეთივით ჰგავს მაშინდელს). ის გეგმაც „ნაცნობი" სტილით და „ნაცნობი" ტექნოლოგიით მომზადდა. არავის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია და არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, ვიდრე 1989 წლის თებერვალში, ცკ-ში ინტელიგენციის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე სიტყვაში გამოსულმა ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ არ უსაყვედურა პატიაშვილს ამ გეგმის ერთი პუნქტის თაობაზე, რომელიც მას პარტიის კალინინის რაიკომში შემთხვევით ენახა. ეს იყო რეკომენდაცია შეექმნათ სტუდენტ-კომკავშირელთა ოპერატიული ჯგუფები არაფორმალებთან დასაპირისპირებლად.

ამ შენიშვნაზე პატიაშვილმა და მე ერთმანეთს გაკვირვებულებმა შევხედეთ – არც ერთს მის შესახებ წარმოდგენა არ გვქონდა. მისი თანხმობით, დაუყოვნებლივ დავტოვე ეს შეხვედრა და დავიწყე გარკვევა, თუ რას გვსაყვედურობდა ავტორიტეტიანი მოღვაწე.

საერთო განყოფილებაში სასწრაფოდ მოვიძიეთ ამ დოკუმენტის დედანი და... რა თქმა უნდა, საორგანიზაციო განყოფილების და მისი კურატორის „შემოქმედება" წინ დავუდე პატიაშვილს. მან დაამშვიდა ბ-ნი ნ.ჭავჭავაძე და დაპირდა, ასეთი რამ აღარ გამეორდებაო.

სწორედ ეს ამბავი შევახსენე პატიაშვილსა და ნიკოლსკის ამ ჩემს პაწია ბარათში, რადგან „ახალ გეგმაში" ის პუნქტი ისევ სიტყვა-სიტყვით იყო გადმოწერილი.

...ბარათს და კითხვის ნიშნებით აჭრელებულ გეგმას ორივე გაეცნო, ერთმანეთში სწრაფად და ჩურჩულით ისევ მოითათბირეს და... მთელი ავლა-დიდება უკანვე დამიბრუნეს ვერდიქტით: „მიმართვა" ჭითანავას გადაეცი, შენ კი ამ გეგმას გამოაქვეყნებო! და როგორც კი, მორიგი პროტესტისათვის პირი გავაღე, შემაწყვეტინა – შენ რა, ვერ ხედები, რომ მაგ პუნქტების გახმაურებისთვის ვატარებთ ამ აქტივსო!

ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და... ის ორი პუნქტი მაინც არ წავიკითხე!

...ერთხელ უკვე ჩვენს დიალოგში ვთქვი, რომ რომ აპარატში მუშაობას, გამორჩეულად – პარტიულში, თავისი დაწერილი თუ დაუწერელი კანონები ჰქონდა. ალბათ, ახლაც ასეა. დისციპლინა მაშინ იყო თუ იყო... დღეს ადვილია გულზე მჯიღის ბრაგუნი, იმისი ფიქრი, რომ უნდა ავმდგარიყავი და გამერახუნებინა კარი... არაფერია საამაყო იმის აღიარებაში, რომ, ჩემდა სამარცხვინოდ, ასეთ დამოკიდებულებას უკვე შეჩვეული ვიყავი. მის წინააღმდეგ პროტესტის ყველაზე რადიკალური ფორმა, სამწუხაროდ, მხოლოდ უფროსებთან კამათი, შეპასუხება იყო. ბევრჯერ ამ გზით მიმიღწევია კიდეც სავარაუდო არცთუ სასურველი გადაწყვეტილების შეცვლისთვის. სხვა არაფერი...

...აქტივის დამთავრებისთანავე, პირდაპირ დარბაზში, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აკაკი კარანაძემ, რომელიც, თურმე, ყურადღებით ადევნებდა თვალს პრეზიდიუმში „საქაღალდეთი ბურთაობას", გვერდზე გამიხმო და „სკანდალი" ამიტეხა, ეს რა ჩაიდინეთო. ავუხსენი, შევჩივლე, არაფერი გამივიდა-მეთქი, ვაჩვენე „აჭრელებული" გეგმაც და ბარათიც. ბოლოს, როგორც იქნა დავარწმუნე, პატიაშვილი დიდ პატივს გცემს (ეს მართლაც ასე იყო), მხოლოდ თქვენი ავტორიტეტის ზეგავლენით შეცვლის ამ პუნქტებს-მეთქი და ვთხოვე მასთან საგანგებოდ შესულიყო. მისაღებში რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ, მან ეს შეძლო და...

პატიაშვილის ზარი: ეგ გეგმა, თუ ასეთი იყო, რატომ წაიკითხეო!

ღმერთო ჩემო, მერამდენედ!

...მთელი ჩვენი დიალოგის გადმოცემა დროს დაგვაკარგვინებს, თანაც, იმათთვის, ვინც ამ პუბლიკაციებს მუდმივად თვალს ადევნებს, ახალი არაფერი იქნება. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ცოტა ხანში ჩემთან შემოდის ასევე აღშფოთებული პანტელეიმონ გიორგაძე – ცკ-ს პირველი მდივნის თანაშემწე, გამომიცხადა სრული სოლიდარობა და მაცნობა: თურმე მასაც თავის მხრივ გამოუთქვამს პატიაშვილთან გაკვირვება და მისგან მიუღია გეგმიდან „საეჭვო" პუნქტების ამოღების თანხმობა. ასეთივე დავალება გარდა ა.კარანაძისა, მიიღეს იუსტიციის მინისტრმა ვ.შარაშენიძემ, რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ ნ.შოშიაშვილმა, რომლებიც სხვა მიზეზის გამო პატიაშვილთან იმყოფებოდნენ. საბოლოოდ ასეც მოხდა, გეგმა უმალ შესწორდა და საგამოძიებო კომისიებისთვის წარდგენილ მის ოფიციალურ ვარიანტში ეს პუნქტები აღარ იყო.

...ტრიბუნაზე გავედი: დავალებული მაქვს ამ გეგმის წაკითხვა, მაგრამ მანამდე მინდა ვუპასუხო წინა ორატორს-მეთქი... ვღელავ, ნაწყენი, თავს ძლივს ვიკავებ...

ამის შემდეგ შევუდექი „გეგმის" წაკითხვას... ესეც მე-20 პუნქტი, რომელიც ავალებს პროკურატურას განიხილოს საკითხი იმ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებისა და აქტივისტების სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, რომლებიც გამოდიან კანონსაწინააღმდეგო ლოზუნგებით და მოუწოდებენ მართლსაწინააღმდეგო აქციებს.

ბოლომდე არც კი დამიმთავრებია ამ პუნქტის წაკითხვა და... მესმის პირველი რიგიდან რეპლიკა: აი, მაქედან უნდა დაგეწყოო! და მოჰყვა ამ რეპლიკას და ამ პუნქტს ოვაცია... დაინგრა ტაშით დარბაზი. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი არეულობა ყველას ყელში ჰქონდა ამოსული და მუდმივმა დაძაბულობამ ინსტინქტები მეტისმეტად გააშიშვლა, ასეთ რეაქციას მაინც არ ველოდი.

...ნელ-ნელა თავი ავწიე, ხმა კი ვიცანი, მაგრამ მინდა დავინახო რეპლიკის ავტორი. ვხედავ, იგი და წელანდელი ორატორი, რომელიც გარეგნულად მთელი გულწრფელობით დიალოგისკენ მოგვიწოდებდა და უბედურების თავად და თავად სუსტი იდეოლოგიური მუშაობა გაასაღა, ტაშს უკრავენ, მაგრამ რას უკრავენ – ლამისაა ხელებზე ტყავი გადაძვრეთ...

და აქ „ავვარდი" – ამ სიყალბემ, ტაშმა, საერთო განწყობამ აშკარად მდგომარეობიდან გამომიყვანა და წამოვროშე: მე ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან არ ლაყბობენ-მეთქი!

ბევრს, ალბათ, დაავიწყდა ეს სცენა, მე – რა დამავიწყებს?

...მერე რა, რომ შენ კონკრეტულად იმ „კეთილშობილი" დუეტის მისამართით „ისროლე" ფრაზა – რა შუაშია იდეოლოგია და დიალოგი, როცა თქვენთვის „მუშტია" მთავარი, რომლითაც არაფორმალთა მოძრაობას, მათი სიტყვებით – „ნამდვილ ფაშიზმს" გაუსწორდებიან...

მკითხველმა შესაძლოა იკითხოს, რა ასე ადვილად „ასაგდები" კაცი იყავიო, და იქნებ, მართალიც იყოს, რომ არა მთავარი მხოლოდ ძალზე ვიწრო წრემ იცოდა მაშინ და, ამ პუბლიკაციების შემდეგ, ეტყობა, ბევრისთვის გახდება ნათელი, თუ რა ორმაგი წნეხის ქვეშ ვიყავით მე და იდეოლოგიის სამსახურის ხელმძღვანელები. ჩვენდამი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამწვავდა 1988 წლის ნოემბრის ცნობილი „შიმშილობის აქციის" შემდეგ (რომლის განვითარების, პერიპეტიების და არასაცხრააპრილო შედეგების შესახებ უახლოეს პუბლიკაციაში ვისაუბრებთ), როცა ჩვენი, ინტელიგენციის წარმომადგენლების და არაფორმალთა ლიდერების ერთობლივი ძალისხმევით თავიდან ავიცილეთ მოსალოდნელი უბედურება, რომელიც, როგორც შემდგომ დოკუმენტურად გამოირკვა, სწორედ იმ მეთოდებით მზადდებოდა, როგორც მომზადდა და განხორციელდა „9 აპრილი". ჩვენი მაშინდელი და შემდგომი „განსაკუთრებული" პოზიცია მუდმივი ბრალდებების, უსიამოვნებების და გაკილვის წყაროდ გადაიქცა. ბოლო დღეებში ეჭვი და უნდობლობა განსაკუთრებით გამოიკვეთა, ვილაცეები მომიტინგეებს უშუალო მისამართსაც კი აძლევენ ჩემს სალანძღავად. ასეთ „ამხანაგურ და კოლეგიალურ" დამოკიდებულებას სწორედ ისეთი ადამიანები აღვივებდნენ, წელან „დიალოგის" შეწყვეტას და იდეოლოგიური მუშაობის სისუსტეს რომ მიკიჟინებდნენ, ახლა კი დარბაზის დამანგრეველი ტაშისცემით მხარს უჭერენ კონფლიქტის ძალისმიერ გადაწყვეტას. ეს განწყობა, ეს გაორება, ეს სიყალბე წუთიერი მიზეზი გახდა ფსიქოლოგიური „აფეთქებისა", რომელმაც პრაქტიკულად დააგვირგვინა ფსიქოლოგიური დაძაბულობის პერიოდი ნოემბრიდან აპრილამდე. ბოლო წვეთი, რომელიც ფიალას ავსებს, ამ საღამოს იქნება, როცა „დავეტაკებით" პატიაშვილი, ნიკოლსკი და მე...

...ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში გავიხსენე საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩემი და პატიაშვილის პირველი შეხვედრა. ვთქვი, რომ, როგორც მაშინ მომეჩვენა, მან გულწრფელი სინანულით გაიხსენა მაშინდელი ერთობლივი საქმიანობის თუ ურთიერთობის ზოგიერთი ფაქტი თუ მოვლენა. ერთ-ერთი – სწორედ ის იყო, რაც ახლა გავიხსენე: გულისტკივილით ვკითხე, რას მერჩოდი, რატომ გამწირე ასე-მეთქი. მიპასუხა, ნიკოლსკიმ დაჟინებით მოითხოვა, რომ ის გეგმა შენ წაგეკითხა და ვერ მოვიქეცი. მაშინ მე კარგად, ვწუხვარ ამასო... ბოდიშად მივიღე ეს ნათქვამი, რაც იყო იყო-მეთქი.

...გაზეთ „საქართველოს" შარშანდელი 2-5 დეკემბრის ნომერში მან ისევ ძველებურად წამოსწია „გეგმის" ავტორობის საკითხი!

ესაუბრა
ბუბაზ მეგრელიძე

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, რომ ძველ კონსტიტუციაში რაც ეწერა, ის არ იყო სამართლიანი, სახელმწიფო ენად ერთი ენის გამოცხადება მეორეს ზღუდავსო. რუსული ენის მაგალითი მოჰყავთ საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში რსფსრ კონსტიტუციაში რუსული ენა სახელმწიფო ენაა არა მარტო რსფსრ-ს, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. რეალობა ასეთია და თუ ეს კონსტიტუციაში არ სწერია, ჩვენთვის ვერაფერი ნუგეშია. ვერც სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციები გამოგვადგება იმედად და ციცკრის ვარსკვლავად. მოძმე რესპუბლიკათა ენებს შორის ქართული და სომხური ერთ-ერთი უძველესი, უნიკალური ენებია. ამ ენებს ორიათასწლიანი ისტორია აქვთ. საკუთარი ანბანი გააჩნიათ, საკუთარი ლიტერატურა და კულტურა. შოთა რუსთაველისა და მოსე ხორენელის ენები გახლავთ, მაგრამ გარემოებათა გამო, ბედის ტრიალის გამო სწორედ ამ ენებს ემუქრება დაღუპვა. თუ უკრაინელი ან ბელორუსი მშობლიურ ენაზე არ ილაპარაკებს, მათ ფუძე ენას სლავურს გადაშენება მაინც არ უწერია. სლავური იფურჩქნება და ჰყავის მთელ საბჭოთა კავშირში. არც თურქულენოვან, სპარსულენოვან ერებს აწუხებთ ჩვენსავით გადაგვარების შიში. თუ უზბეკურს რუსული გააძევებს უზბეკეთიდან, ფუძე ენა თურქული იცოცხლებს თავის სამშობლოში, ტაჯიკური – სპარსეთში. ქართულსა და სომხურს კი (განსაკუთრებით ქართულს) საყუდარი სხვაგან არსად ეგულებათ, უკან დასახევი გზა არსად აქვთ, ან უნდა იბრძოლონ, ან საფლავი თავის მიწაში უნდა გაითხარონ. ასეთი ტრაგიკული ბედი არგუნა მათ ისტორიამ, ამიტომ თავის სამშობლოში ემიგრანტული უფლებებით სუფევა ამ ენებს ვერ დააკმაყოფილებთ. ეკუთვნით და უნდა მიენიჭოთ ის უფლებანი, რაც კულტუროსან ენებს შეჰფერით, რაც ჰქონდათ წარსულში და დროთა უკუღმართობის გამო დაჰკარგეს. როცა ქართულ და სომხურ ენებს ასე გამოვყოფთ, არ მავიწყდება ლენინის ფუძემდებლური შრომები, მისი გაფრთხილება მარად ჩამესმის ყურში „სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას". ყველაფერი ეს ასეა, რასაკვირველია! სამართლიან საზოგადოებაში თანასწორობა უნდა სუფევდეს – სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ერებსა და ენებს თავისებურებანი გააჩნიათ, სოციალური საზომით მათი გათანასწორება ვერ იქნება. რუსული ენა ხომ პუშკინის და ტოლსტოის ენაა? ეს ერთი რომელიმე საუკუნის, ერთი რომელიმე თაობის, თუ გნებავთ ერთი რომელიმე რევოლუციის მონაპოვარი როდია. ის ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მისთვის მრავალწლიანი დიდი ომები გადაიხადა რუსეთმა. მოხდა აჯანყებები, რევოლუციები, დაიღვარა თაობის სისხლი.

რუსული ენა რუსი ხალხის უფრო დიდი მონაპოვარია, ვიდრე რევოლუციის შედეგად მოპოვებული სოციალური თანასწორობა. რა დიდი უსამართლობა იქნებოდა, თუკი რუსი ხალხის ამ დიდ მონაპოვარს არად ჩავთვლიდით და თანასწორუფლებიანობის პრინციპით მთელ რუსეთში ყირგიზულ ან ბაშკირულს გავაბატონებდით. ამხანაგებო! სამწუხაროდ, ახალ კონსტიტუციაში ასეთი ძირეული ცვლილებები სულაც არ გახლავთ შემთხვევითი ან დროებითი მოვლენა. იგი გაპირობებულია წინასწარ დასახული პროგრამით. როგორც ვიცით, ეს პროგრამა ითვალისწინებს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერთა ურთიერთდაახლოებას და მათი სრული ერთობის მიღწევას. ამ მიზნისაკენ გადაიდგა ნაბიჯი – ფრთხილი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯი. არა მგონია ეს ნაბიჯი სამართლიანი იყოს. ბუნება მრავალფეროვნებას

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №10.

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## ნოდარ წულეისკირი: ვაი, იმ მწერლის ბრალი, ვისაც ქორქოლიანობა უნდა, ილია ჭავჭავაძეობა ყველა ქართველი მწერლის იდეალია

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი.



მიელტვის. მრავალგვარობა მისი თვისებაა: ცა, მიწა, მცენარე, წყალი, ადამიანი, ჭიანჭველა... მრავალსახეობა მას სიდიადეს ანიჭებს. ადამიანთა შორისაც ეს კანონი მოქმედებს. ჩინელი რომ არავის ჰგავს ქვეყანაზე და თავის ენაზე მეტყველებს, რუსი რომ ეთიოპიელისაგან განსხვავდება, პატარა კავკასიაში მცხოვრები ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი, სამი სულ სხვადასხვა შვილია ბუნებისა. გონიერ ადამიანს ეს სხვადასხვაობა უნდა მოსწონდეს. ეროვნებები, მათი ენები და ლიტერატურები კაცობრიობის სიმდიდრეა.

წავიდა ის დრო, როცა „შტიკური ბოის" რომანტიკით ვიყავით გამსჭვალულნი. დღეს მსოფლიოს კონფლიქტები მშვიდობიანობის გზით წყდება. ხალხები ისე წარმართავენ თავიანთ ცხოვრებას, როგორც თვითონ სურთ. პაპუასებსაც კი მისცეს დამოუკიდებლობა. წარსულის საზარელმა გაკვეთილმა ადამიანებს ჭკუა ასწავლა. დაიცხრეს აღგზნებული სული და არსებულს უფრო ლმობიერად, უფრო სიყვარულითა და ყურადღებით შეხვდნენ.

რამოდენიმე წლის წინათ გაავთრებული კამათი ატყდა სოფლის მეურნეობის მუშაკებს იმის გამო, რომ კამეჩს უპირებდნენ გადაშენებას, როგორც წამგებიანს. კამეჩი ტყიდან გამოიყვანეს ჩვენმა წინაპრებმა და მოაშინაურეს. რა უფლება გვაქვს წარსულის მონაპოვარს წყალში ჰყრით-მეთქი. ისიც ხომ ცნობილია, რომ მეცნიერები თავგამოდებით იცავენ მარტორქებს, ბუნებას ისინი სილამაზეს ჰმატებენ, არ უნდა მოვსპოთო. გაუგებარია ჩვენს დროში ერებისა და ენების მოსპობაზე ფიქრიც კი, თუნდაც ფრთხილად, ფაქიზად გადაიდგას ამ მიზნისაკენ ნაბიჯი, მაინც არაგონივრული, არაჰუმანური საქციელია, შთამომავლობაც არ გვაპატიებს ასეთ ნაბიჯს.

მწერალი მებრძოლი არ არის, შექმნელია, ავია თუ კარგია, მაინც ქრისტე ღვთისაგან ასეა დაწესებული, მაგრამ ქართველ მწერალს, დღეს იქნება თუ ხვალ, ბრძოლის ველზე გასვლა არ ასცდება. ქართველმა მწერალმა ჯერ უნდა იბრძოლოს, თავისი თვითმყოფობა უნდა დაამკვიდროს, შემდეგ შექმნას, როგორც ოდითგანვე, ცალ ხელში ხმალში უნდა გვეჭიროს და ცალში კალამი. უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ ქართველი ერის დაჩქარებული ტემპით გარუსება დააკანონა. ქართველი მწერალი ვალდებულია ხმა აიმაღლოს, ბრძოლა თუ არ შეუძლია, ტაში მაინც არ დაუკრას – ეს რა სიკეთე გიქნიათ, რა მოწყალება გაგიღიათ, ქართველი ხალხისათვის ქართული ენის „ხმარების" ნებას რომ იძლევითო. ხალხი აღშფოთებულია, არც ერთი მწერალი, არც ერთი მეცნიერი, მხატვარი, კინოსა და თეატრის მოღვაწე, არც ერთი ადამიანი ქართული წერა-კითხვის მცოდნე არ მეგულება, კონსტიტუციის ეს მუხლი მოსწონებოდეს. სამწუხაროა, ჩვენი გაზეთები, რადიო, ტელევიზია არ გამოხატავენ ხალხის ნებას, ვისაც სხვა აზრი აქვს, იმას გვერდს უვლიან, ან ტრიბუნას არ აძლევენ. ხალხს უმალავენ სიმართლეს... მოვიტან ერთ მაგალითს: 1978 წლის 31 მარტის ნომერში გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" აქვეყნებს „ქართველ მწერალთა ხმას". პირველ გვერდზე დასტამბულ ამ მცირე უწყებაში ვკითხულობთ შემდეგს: „ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას მიეძღვნა მწერალთა კავშირში გამართული მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ქორქოლიანმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქ. მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პოეტი მორის ფოცხიშვილი, მწერლები: ი.ვაკელი, რ.ჯაფარიძე, ნ.წულეისკირი, ნ.დუმბაძე და ჯ.ჩარკვიანი. მწერლებმა აღნიშნეს ის საყოველთაო აღმავლობა, რაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია. გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და სურვილები". შეიძლება კალმის წვერმა ამაზე მეტი სიცრუე დასწეროს? პარტიიდან წავალ, თუ ასეთ კონსტიტუციას მიიღებენ-მეთქი, აი რა ვთქვი მე ამ მიტინგზე. ისეთ ვითარებას გვიქმნიან, გულში ერთი ვიფიქროთ, საჯაროდ კი მეორე ვთქვათ. ე.ი. ვიცრუოთ. როცა ერთი ან ორი ადამიანი ცრუობს, ეს მოსათმენია, მაგრამ როცა მთელი საზოგადოება ცრუობს, მთელი ერი ტოტალურად ცრუობს თავისი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებით, რადიოთი, ტელევიზიით, საზარელი სახილველია და მოსასმენი. პირიქით, ასეთ დროს მწერლობას მართებს სწორედ გამოიჩინოს ზნეობრივი სიმტკიცე, მორალური სისპეტაკე, მოიკრიბოს სულიერი ძალები და თქვას სიმართლე, თუნდაც ჯვარს აცვან ამ სიმართლისათვის. მაშასადამე, ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას, არ შეესაბამება ჩვენს კულტურას და ისტორიას, შეუფერებელია წესიერი საზოგადოებისათვის. როგორ მოვიქცეთ? სულ მთლად ამოღება რა შედეგს მოგვცემს? „ხმარების უზრუნველყოფას" აჯობებს, რასაკვირველია, მაგრამ უდედაენოდ დარჩენა მაინც გარდაუვალია. ერთადერთი სასურველი და შეუცვლელი ვარიანტი გახლავთ ძველი 1937 წლის კონსტიტუციის 156, 157 მუხლები, სადაც მეტად ნათლად და სხარტად არის ჩამოყალიბებული ქართული ენის უფლებამოსილება.

ამბობენ, რომ ძველი კონსტიტუციის ამ მუხლების აღდგენა არ შეიძლებაო. ჩანს გვაძალებენ, თავს გვახვევენ ხალხისათვის მიუღებელ კანონებს გვაწერენ. მაშინ უნდა ვიკითხოთ, თუ რისი უფლება გვაქვს, რისი მოთხოვნა შეგვიძლია. შეგვიძლია კი დაძალებული მუხლის უარყოფა? ჩავიხედოთ ისევ კონსტიტუციაში: ერთ-ერთი მთავარი უფლება გახლავთ "საბჭოთა სოც.რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება". ეს უფლება ნაღმივით დევს საბჭოთა კავშირის ყველა კონსტიტუციაში. მისი ხმამაღლა წაკითხვაც კი შიშის ზარს სცემს თვით წამკითხავს. ასეთი შიშისმომგვრელი უფლებები გახლავთ საქსსრ მოქალაქეთა სხვა უფლებანი და თავისუფლებანი. მაგ. თავისუფალი კენჭისყრის, სიტყვის, კრების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების უფლებანი. თუ ქართულ ენას წაგვართმევენ, ეგებ დაგვჭირდეს ამ უფლებების გახსენება და გამოყენება. შიში, რომელიც ამ უფლებებს თან ახლავს, უნდა. დავძლიოთ, ლენინის მიერ მინიჭებული დიადი უფლებები დაგვეხმარება, გავიგოთ ხალხის ნება, უნდა თუ არა ხალხს მშობლიური ენა არ ჰქონდეს, მოსწონს თუ არა შერწყმა და შეერთება სხვა ერთან. თვით პარტიას უნდა აინტერესებდეს თავისი ხალხის გუნება-განწყობა, ეგებ თვითონ დაშორდა ხალხს და მის ნებას უკვე აღარ გამოხატავს. იქნება ქართველი ხალხი, საქსსრ მომწიფდა ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც, სახელმწიფოებრივადაც და მას უკვე აღარ შეჰფერის მოკავშირე საბჭ. სოც.რესპ. უფლებები. როგორც ვიცით, საქსსრ ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიული ქვეყანაა. მის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას ევროპის ცნობილ სახელმწიფოებს უტოლებენ, ხოლო უმაღლეს დამთავრებულთა რიცხვით, კულტურის დონით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებსაც ამოვუყენებთ ხოლმე. ეგებ რესპუბლიკამ განვითარების ისეთ საზღვარს მიაღწია, როცა უკვე მოკავშირე საბჭ. სოც.რესპ. ჩარჩოები ეცოტავება, ჭეშმარიტი სუვერენული სოციალისტური სახ.უფლებები აუცილებელია მისი შემდგომი წინსვლა-განვითარებისათვის. ეგებ თვად ცხოვრება, საზოგადოების განვითარება წარიმართა არა კონსოლიდაციისაკენ, შერწყმა-შერევისაკენ, არამედ დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისაკენ. ეგებ შემთვევითი არ არის ის ამბები, რაც უკრაინას, საქართველოსა და სომხეთში ხდება უკანასკნელი წლების მანძილზე. ეგებ ამ რესპუბლიკებს ეხებათ სწორედ დამოუკიდებელი განვითარების პერსპექტივა. ეს რესპუბლიკები მომწიფდნენ დამოუკიდებლობისათვის. თუ სულ მთლად ობიექტური და გულახდილი ვიქნებით, საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში შეინიშნება განვითარების მეორე – შერწყმა-შერევის გზაც. საბჭოთა კავშირი ვრცელი ქვეყანაა, მის ტერიტორიაზე ცხოვრობს წარსულში სხვა ქვეყნებიდან მოსული დაბალი კულტურის ერები. მათი შერწყმა-შერევა უფრო მაღალი კულტურის ხალხთან ბუნებრივი პროცესია. მაგრამ უძველესი ისტორიისა და კულტურის ერებს, სომხებსა და ქართველებს, ვინც თავის მიწა-წყალზე ცხოვრობს ფეხმოუცვლელად ორი ათასი წლის მანძილზე, თავისი ძვირფასი მატერიალური კულტურის ძეგლებით, საკუთარი ენით, დიდი სულიერი კულტურით, შინ მიეჭრა და ენა წაართვა იმ მიზნით, რომ შემერწყე და შემერიეო, სრულ ერთობას უნდა მივაღწიოთო, გაუგონარ უსამართლობად მიმაჩნია. დროთა განმავლობაში, თანდათან ალბათ უფრო მკაფიოდაა ხელშესახები გამოყოფაც და შერწყმაც. მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ პროგრამასაც შემოგვთავაზებენ, ჯერჯერობით კი არავითარი „გასვლის უფლება" არცერთ რესპუბლიკას არსაიდან არა აქვს. „თავისუფალი რეფერენდუმის, სიტყვის და კრების უფლებანიც" მხოლოდ ქაღალდზე გვიწერია. არც კონსტიტუციის ავკარგს გვკითხავს არავინ, არც კონსტიტუციაში ჩახედვა და უფლებების ძებნა უშველის უენოდ დარჩენილ ქართველ ერს, ამ სიტყვის თქმაც ალბათ არ არის სიკეთის მომტანი, მაგრამ რადგანაც საკვებმომპოვებელი ვერ ვიქნებით, ტკივილი და მწუხარება სიტყვებით უნდა გამოვხატოთ, საკუთარი სინდისი და რწმენა უნდა გადავარჩინოთ, შევინარჩუნოთ ღირსება, მოვიდრიკო თავის განზე დავდგე, ესხატოლოგიური ლოდინით დაველოდო ბოლოს. ეს არის და ეს ჩემი გამოსვლის მიზანი. სხვა რა შემიძლია? ამ ოციოდე წლის წინათ, როცა პარტიის რიგებში შევდიოდი, საქსსრ კონსტიტუციაში გარკვევით ეწერა, რომ საქსსრ სახელმწიფო ენა ქართული ენაა, რომ ჩვენ ქართველები ვართ და გვევალება ქართული ენის აყვავება-გაფურჩქნაზე ზრუნვა.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შეძლებისდაგვარად ქართული ენისათვის ზრუნვას შევალიე. უკეთესი საზრუნავი არაფერი მქონია და არც მსურს, რომ მქონდეს. თუკი პარტია ამის საშუალებას მომისპობს, თუ ქართულ ენას არ აღუდგება თავისი კუთვნილი ძველი უფლებები, არათუ კონსტიტუციას მხარს ვერ დავუჭერ და ვერც იმ პარტიის რიგებში დავრჩები, ვინც ქართულ ენას ასე მოექცა. ამხანაგებო, მე ვერავინ ვერ დამწამებს პარტიის ორგულობას, ვერც განზე გადგომას და პირში წყლის ჩაგუბებას მისაყვედურებენ. ყველა სიახლეს, რაც ჩვენს ცხოვრებაში ბოლო დროს მოხდა, შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე, დავწერე ნარკვევები: „მუხა", „ვაზი და საქონელი", შემდეგ ეს ნარკვევები ცალკე წიგნადაც გამოვაქვეყნე. ამ წიგნში ავწერე, თუ როგორ ლაფავს სულს მეცხოველეობა დღევანდელ საქართველოში, კოლხებს მეტი ცხვარ-ძროხა ჰყავდათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როცა ურარტუელები ესხმოდნენ თავს, ვიდრე, დღეს ჰყავთ მეთქი, მაშინ ცენტრალური კომუ-

გაგრძელება მე-10 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## ნოდარ წულეისკირი: ვაი, იმ მწერლის ბრალი, ვისაც ქორქოლიანობა უნდა, ილია ჭავჭავაძეობა ყველა ქართველი მწერლის იდეალია

მეცხრე გვერდიდან

ნისტის ცნობილი დადგენილება მეცხოველეობაზე არც არსებობდა. წაველი ენგურჰესში, დავწერე ნარკვევები, კინო-სცენარი, რომანის პირველი წიგნი, რადიო პიესა. გამოვუცხადე მძიმე ომი ენგურჰესის ხელმძღვანელებს, კერძოდ პარტიული კომიტეტის და კომკავშირის კომიტეტის მდივნებს, რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების მდივნებს, მეცხოველეობის ტრესტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ბოლოს თვით საქკპ ცკ პირველ მდივანს ამხ.ე.შევარდნაძეს ვუთხარი, თუ როგორ დაავიწყდათ საკუთარი სოფლის სახელი ენგურჰესელ ახალგაზრდებს, ფოცხოეწერს „პრავი ბერეგს" რომ ეძახიან, თუ როგორ დგას გარუსების გზაზე მთელი საქართველო. ეს იყო შვიდი წლის წინათ. წინასწარ მითხრა გულმა ის, რაც დღეს კონსტიტუციაში გვიწერია. ჩემთვის ამ მძიმე ომში ვცდილობდი ვყოფილიყავი ობიექტური, სამართლიანი, გულწრფელი, პირდაპირი, მოურიდებლად გამომჭონდეს უკეთურებანი სააშკარაოზე, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მაგალითად, ანაკლიის მეკამეჩეობის მეურნეობაზე დავწერე კრიტიკული ნარკვევი. ამ ნარკვევის გამო ათას საჩივარსა და ბრალდებას გავეცი პასუხი, თითქოს დამნაშავე ვიყავი, სულ თავს ვიცავდი. გავიდა ორი წელი. სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა შეამოწმეს ანაკლიის მეკამეჩეობის მეურნეობა და მილიონობით ზარალი აღმოაჩინეს, მეურნეობის დირექტორი მოხსნეს, დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს, სახელმწიფო ზარალი კი, რასაკვირველია, ზარალად დარჩა, თავის დროზე ჩემთვის რომ მხარი აებათ, მილიონებს ვერ წაგლეჯდნენ ხალხს და ქვეყანას ანაკლიელები. ასევე საზარელი სურათი დამხვდა ენგურჰესში, მართალია, იქ უნიკალურ კაშხალს აგებდნენ, უნიკალურ გვირაბებს, ყველა საინჟინრო ნაგებობას, ძვირფასს და კარგს, მაგრამ რიგით მუშებს არ ჰქონდათ შრომის პირობები. მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ბეტონისაკენ, ადამიანისათვის კი დრო არ რჩებოდათ. პარტიულ-კომკავშირული მუშაობა იქ ჩაშლილი იყო წლების განმავლობაში, კომკავშირის კომიტეტში კომკავშირელთა სიაც კი ვერ მაჩვენეს. კომკავშირლები ყრიდნენ თავიანთ პირად საქმეს, კომკავშირულ მანდატსაც კი და უგზო-უკვლოდ მიდიოდნენ. ასეთი მანდატები მე წამოვიღე ენგურჰესიდან და თანა მაქვს. არ იფიქროთ, დროგადასული მანდატები იყოს. არა. მაგალითად ვინმე რეზო მუზაევი მიუღიათ კომკავშირში, მაგრამ მანდატის წასაღებადაც კი არ მისულა კომიტეტში. ისეთ კომიტეტის კრებასაც დავესწარი, სადაც პარტიის რიგებიდან გარიცხეს ორი წევრი: ჯღარკავა და ცირდავა. ამ კრების ოქმის ამონაწერი ჩემთან ინახება. სწორედ უგზო-უკვლოდ გადაკარგვისთვის. საინტერესო ის არის, რომ მათი საკითხი იხილებოდა და გაუჩინარებიდან ორი წლის შემდეგ, როცა კრებამ პარტიული კომიტეტის მდივნის ბაკურ გულუას დაჟინებული წინადადებებით მიიღო გადაწყვეტილება ჯღარკავა პარტიიდან გავრიცხოთო, წამოდგა ერთი მუშა და დინჯად იკითხა: კაცი მკვდარი არ იყოს, არ შევრცხვეთო. ამ შემთხვევამ თავზარი დასცა ყველას, მაგრამ პასუხის გაცემა არავის არ შეეძლო.

კიდევ ერთი ფაქტი: 1974 წელს, აპრილის თვეში ახალი ბინიდან გამოასახლეს ცეცხლფარეში რამინ გულუა და შეასახლეს შემდუღებელი შელჩკოვი მ.პ. რამინ გულუას მაშინ ჰყავდა ცოლი და ცხრა თვის ბავშვი. მიზეზი ვიკითხე: შელჩკოვი გამოძახებული მუშაა სხვა მშენებლობებიდან, როცა კარგი სპეციალისტი ჩამოდის, ბინებს ურიგოდ ვაძლევთო. რამინ გულუა ბინის მთხოვნელთა რიგში იდგა 1971 წლიდან. მე დავინტერესდი ამ ფაქტით და მთელი კვირის განმავლობაში ვეძებდი თუ რა უპირატესობა ჰქონდა შელჩკოვს გულუასთან შედარებით. გულუასაც მეხუთე თანრიგი აღმოაჩნდა და შელჩკოვსაც. ისიც ცოლშვილიანი იყო და ესეც. დავიწყე ძიება თუ რატომ გამოიძახეს შელჩკოვი, ჰქონდა თუ არა რაიმე ისეთი ცოდნა, რაც აუცილებელი უნდა ყოფილიყო ენგურჰესისათვის. გაირკვა შემდეგი: ბინებს ანაწილებდა ვინმე ალექსანდრა უტკინა და შელჩკოვის მეუღლე გახლდათ ამ უტკინას და. დამ გამოიძახა ციმბირიდან თავისი და და სიძე, ბინა ურიგოდ უბოძა, როგორც შეუცვლელ სპეციალისტს. რაკი თავისუფალი ბინა არ იყო, ახალშესახლებული ქართველი გამოასახლეს და რუსი შეასახლეს. ვიდრე მე კადრების განყოფილებაში ნაგავს ბოლომდე ვჩხრეკავდი, რამინ გულუას ახალი ბინა მისცეს. მსგავს ათას უწესობაზე მე ვესაუბრე იქაურ ხელმძღვანელობას. კერძოდ, პარტიის ზუგდიდის ქალაქკომის მაშინდელ მდივანს გვარაცხელიას. შემდეგ გამოვაქვეყნე ნარკვევი „ლიტერატურულ საქართველოში", სადაც ნათლად ჩანდა პარტიული კომიტეტის მაშინდელი მდივნის ბაკურ გულუას საქმიანობა. შედეგად რა მივიღეთ, ის რომ ბაკურ გულუა დღეს გალის რაიკომის პირველი მდივანია. ლიტერატურას ფაქტების ზერელე აღწერა არ უყვარს. როგორც ვიცით, ჩვენს რესპუბლიკაში დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა მექრთამეობას, ქურდობას, მტაცებლობას, პროტექციონიზმს, უზნეობასა და ამორალიზმს. მწერალს აინტერესებს უფრო მეტი, თუ რატომ ხდება ქურდობა, თუ რა აიძულებს ადამიანს საციხოდ გასწიროს თავი და ქრთამი აიღოს. მწერალმა ღრმად უნდა ჩაიხედოს ადამიანთა გულებში. ყოველმხრივ უნდა გააშიშვლოს და დღის სინათლეზე გამოიტანოს ნამდვილი სიმართლე. როგორც კი ამ სიმართლეს დავუწყე ძებნა, ჩემს წინაშე აღიმართა დაუძლეველი კედელი. როგორ, განა ენგურჰესზე არ მოიძებნებიან ღადებითი ადამიანები? – მესმოდა ყოველი მხრიდან, – ასახე შრომის რომანტიკა, არათუ ჩვენს რესპუბლიკაში „მომხდარი სასიკეთო ძვრები". ბოლოს უფრო მკაცრ ზომებსაც მიმართეს და მე მივანებე ენგურჰესს თავი. დამთავრდა ჩემი შვიდწლიანი მძიმე ომი. დამთავრდა იმით, რითაც დავიწყე, „ქართული ენის დასაცავად ავიღე ხელში ფარ-ხმალი და სწორედ ქართული ენა წამართვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ცდა- და მოწადინება, როგორც დიდი ილია იტყოდა, სულ ტყუილ-ბზუილი გამოდგა. ისღა დამრჩენია წავიდე პარტიიდან და მონაწილეობა მაინც არ მივიღო იმ საქმეში, რაც არ მწამს. არ ვეთანხმები „წავიდე პარტიიდან" რა ამაყად ჟღერს ეს სიტყვები. ე.ი. ღირსეული წევრი ხარ კოლექტივისა! ნურას უკაცრავად! ამ სიტყვების თქმის უფლება არა მაქვს პარტიის წევრს. ასეთ უფლებას კომუნისტს არავინ აძლევს. წესდება მხოლოდ გარიცხვას ითვალისწინებს. არამზადასავით უნდა გაგრიცხონ მხოლოდ და მხოლოდ მისთვის, რომ საკუთარი აზრი გაგაჩნია! რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ხვედრი, ასეთი უფლებანი და თავისუფლებანი მოგვეპოვება. როცა ასეთ ნაბიჯს ვდგამ, მე მესმის ჭეშმარიტ პატრიოტთა გულისძგერა, მათი საყვედური ყურში ჩამესმის. გამოვდივარ ჯიუტი და თავკერძა, უნდა გამიგოთ ამხანაგებო. თქვენ იცით, რომ მე არავის არ ვეჯიბრები. სამშობლოს სიყვარულში არც დაფნის გვირგვინს მიველტვი, არც ეკლისას. ვგევარ იმ ჭეშმარიტად მორწმუნეს, ვინც ფარისეველივით მღვდლის დასანახავად კი არ ლოცულობს, მარტოდმარტო დგას წელში მოხრილი, ძირს მიწას კოცნის, მაღლა ღმერთს ევედრება, მართალია სწამს უფლისა, ამქვეყნიური არაფერი არ ესმის, კვამლივით შეერთვის ზეცას.

# იყავი სრულყოფილი

თამაზ თავაძე

## SOLI DEA GLORIA!

ადამიანი საკუთრივ ჰქმნის საკუთარ თავს თავისი აზროვნებით და აქედან გამომდინარე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აზროვნების ხარისხი – ალბათ, გასაგებია. ეს ქვეყანა არაფერია, თუ არა განსხვავებულ აზროვნებათა ხარისხის ასპარეზი.

აზროვნების ხარისხი, თავის მხრივ, ცნობიერების დონეს განსაზღვრავს და არსებობს ცნობიერების დონეთა ხუთი ხარისხი. ამ ხუთ ხარისხთა შესაბამისადაა დალაგებული ინდური კასტური სისტემა, და უბედურება ის გახლავთ, რომ სოციალურ ფენებად ცნობიერების დალაგება და დამკვიდრება დიდი შეცდომაა. რადგანაც ერთ სოციალურ სივრცეში სავსებით შესაძლებელია და აუცილებელია კიდეც ცნობიერების ამაღლება. კასტურ სისტემაში ცნობიერების „გამაგრება" ხელს უშლის ადამიანთა ცნობიერების ბუნებრივი იერარქიით განლაგებას. ცნობიერებათა დაყოფა და ეროვნულ სივრცეში გამაგრება მოხდა ინდოეთში. პარია – ადამიანები, რომელთა ხელის ხლებაც კი არ შეიძლებოდა, დაბინძურებისა და წაბილწვის შიშით. შუდრა – ხელოსნები, მოსამსახურეები და საერთოდ, სხვადასხვა ჯურის მოხელეები, ვაიშია – ვაჭრები, კშატრი – მეომრები, ბრაჰმანები – ღვთის მსახურთა, ბრძენთა და ქურუმთა კასტა.

პარია, როგორც კასტის მიღმა მდებარე გარიყულ ადამიანთა წარმომადგენელი, ფიზიკურად არ წარმოადგენს საშიშროებას, თუკი მათ ხელით შეეხებით. ხდება ისიც, რომ მათ შორის ხშირად შეხვდებით სათნო, ღვთისნიერ ადამიანს. საერთოდ კი, პარია იმთავითვე ნიშნავდა საშინლად, ჯოჯოხეთურად დამდაბლებულ გონებას და ასეთი ადამიანის ხელის ხლება მართლაც საშიშია, რადგან მისგან უსაშინლესი ემანაციები გადმოედინება. ვფიქრობთ, გასაგებია, მით უმეტეს დღევანდელი მასიური სიგიჟის პირობებში, თუ რას ნიშნავს „ცნობიერებითი პარია".

ერთადერთი, რაც ჭირდებათ ადამიანებს, არის ცნობიერება და ცნობიერება უზენაესად ამაღლებული – ქრისტეს ცნობიერება. ის, რომ ცნობიერებათა ხუთი დონე კასტურ სისტემად გადაიქცა, ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს თავს მოახვიეს სიცრუე – ადამიანის მატერიისგან წარმოშობა და ამით დაიმკვიდრეს ბრაჰმანებმა თავიანთი პოზიცია – მარადიულად ებატონათ სხვებზე. ამ დროს კი პარიას, შუდრას, ვაიშიას და კშატრიების სივრცეში ხდებოდა ცნობიერებათა ამაღლება, ადამიანი ეზიარებოდა ღმერთს და მაღლდებოდა. ამიტომ აუცილებელია ჩვენს სივრცეში უხილავი კასტური (ქონების ცენზის, წარმოშობის ცენზის, ნაციონალური, რელიგიური, რასობრივი თუ თანამდებობის ცენზთა) სისტემის უგულებელყოფა.

ადამიანებმა უნდა უარყონ მდაბიო, უაზრო მანია მატერიიდან წარმოშობის შესახებ და მატერიის მიერ განპირობებული ცნობიერება, მესაკუთრის ბუნება, სამყაროს დედის ცნების დამახინჯება, რის გამოც ვერ ხდება კოსმიურ შესაძლებლობათა სრული შეფასება და ადამიანი ზღუდავს საკუთარ თავს ნივთების დროებითი ფლობის სიამოვნებითა და ფუჭი დროსტარებით.

მიეცით ზეცას საშუალება, ისარგებლოს თქვენი ცნობიერებით, რათა გაზარდოს იგი, გადაიხედოთ უსასრულობაში, რის შემდეგაც თვითონ მიხვდებით, რომ საჭიროა ბრძენკაცის (ბრაჰმანის) ცნობიერება, რომ იხილოთ უბრწყინვალესი შესაძლებლობანი თუნდაც კატაკლიზმების დროს, ჯოჯოხეთურ პირობებში.

მიეცით გაგება მდიდარს, სიმდიდრე სულით გლახაკს და თანაგრძნობა ყოველს.

რა ძლიერია ზოგიერთი ადამიანის სურვილი, რადიკალურად შეცვალოს მდგომარეობა თავის ქვეყანაში, დედამიწაზე. როგორ ტკივათ მათ სხვისი ტკივილი და იტანჯებიან სხვისი ტანჯვითა და განცდით, მაგრამ გზა მხოლოდ ერთია – ცნობიერების გაზრდა.

რევოლუციების ჟამმა გადაიგრიალა პლანეტებზე და ერთადერთი უზარმაზარი ევოლუციური ნაყოფი ამგვარი წარსულისა გახლავთ გაზრდილი ცნობიერება კაცობრიობისა, რაც გვაძლევს იმედს, რომ ყოველი ინდივიდუუმი მიიღებს ცოდნას და ძალას ამაღლდეს თავის მარიონეტულ მდგომარეობაზე, რომელშიდაც იგი მორჩილებს სხვათა ეგოს, მდაბალ, ურჩ სულებს, დროის წარმავალ ფანტაზიას, ბნელეთის მოციქულებს და მრავალი ჯურის ისტორიულ თუ თანამედროვე ტირანებს.

ცნობიერების ხუთი დონიდან უმაღლესი – ბრძენკაცის ცნობიერება – ეს ის მოვლენაა, რომელსაც ადამიანი იძენს ღმერთისკენ მისწრაფების დროს რა თქმა უნდა, ეს ამაღლებული მისწრაფებაა და თუ მას გეომეტრიულ შინაარსს შევძენთ, იგი ვერტიკალურია. ვერტიკალური განვითარება სულისა იძლევა ღვთიურ, ზეციურ ძლევამოსილებას. აქედან გამომდინარე, არსებობს მისი საპირისპირო ძლევამოსილება და განვითარების მიმართულება – ჰორიზონტალური. ეს მიმართულება პირწმინდა მიწიერი ძლევამოსილებაა და წარმავალია, ილუზორულია, რადგან პატრიციები და ძლიერნი ამა ქვეყნისანი გლახაკთა და ღარიბესთა წილ-ხვედრს იზიარებენ – გარდაიცვლებიან და წარიშლება მათი ყოველგვარი ძლევამოსილება. სიმდიდრე სხვას რჩება და მხოლოდ ვერტიკალური ძლევამოსილება შეიქმს ადამიანს წმინდანად და ამით ეზიარება იგი ქრისტეს. დღეს ჩვენ ვდგევართ სულის კართან, რომლის იქითაც უნდა გადაიდგას ის ნაბიჯები, რომლებიც მთლიანად შეგვცვლიან და არა ისე, როგორც ამას დღევანდელობა ითხოვს. მეძავებად, თაღლითებად, ზნედაცემულ, იმედდაკარგულ და მატერიალური აზროვნების მარწუხებში მოქცეულ არსებებად, რომელნიც იძულებულნი არიან მოერგონ დღევანდელობას, რადგან ყოველი მათი ძალისხმევა განპირობებულია არსებული სიტუაციით. ჩვენ უნდა განვიცადოთ ის ცვლილება, რომელიც მიგვიყვანს ჩვენს რეალურ სახესთან, რამეთუ შექმნილნი ვართ ღვთის ხატად და მსგავსად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდაზა-ნაკვესები

* უფროსნო! ხელქვეითთა მიმართ არც ძალზე ჩახუტებავარგა და არც ძალზე გაბუტება, ყველაზე უპრიანია ანდაზა: ალიო, რომელი კაცი რა მანძილზე იყოლიო, დიდი ხელოვნებააო.

* კაცს რომ საქმეში ღალატს დაუდეგენ, ისიც საქმეა. დიახ: თუ უპირუელმა მოვალემ თუმანი არ დაგიბრუნა, მაინც მოგებაში ხარ, სამი თუმნის ჭკუას ისწავლიო.

* არიან კაცნი, ქვეყნის საქმე კი არა, საკუთარი სარფა რომ ამოძრავებთ: თავემა ურჩია კაცს – არ იწველება და არ იპარსება, რა ოხრად გინდა, კატას რომ ინახავო?!

* მრუდე გზას შემდგარი დამოძღვრეს: სინდისი მაშინაც უნდა გქენჯნიდეს, თუ შენი დანაშაული ერთმა მაინც იცის, თუგინდ ის ერთი მხოლოდ შენ იყოო.

* მთავარია, კაცის კეთილმა საქმემ და სახელმა საუკუნეებს გაუძლოს, დიახ: ვაი იმას, ვინც მხოლოდ სიკვდილამდე ცოცხლობსო.

* მიმდინარე წელმა დაიფიცა – ჩემს მეფობაში, ხალხს, უპირველესად, ცხოვრება უნდა გავუუჯანიანო, რამეთუ ტვინს ვერ აახმიანებ, თუ კუჭი არ ჩააჩუმეო.

* ხალხო! ყოველი წვრილმანი საქმე მსხვილმანად მიიჩნიე, დიახ: ზვავს ჰკითხეს – რამ მოგცა ასეთი უშველებელი ძალა, და – ფიფქმაო.

* ქართველნო! ერთმანეთის წეწვაგლეჯით მტერს ნუ ახარებთ და გულისფიცარზე დაიწერეთ: მტერი ვერ მტერობსო, თუ ერი ერობსო.

* საქართველოს მესვეურს ურჩიეს – მოქიშპეთ, უპირველესად, შენი მძლავრი საქმიანობით, გინების ჰოვსილა მოუსპე, დიახ: თუ შენმა მიღწევამ კეთილი კაცი აალაპარაკა, ეს ჯერ კიდევ მიღწევა არაა, ხოლო თუ ბოროტი კაცი ჩააჩუმა, აი, ეს უკვე ხალასი მიღწევააო.

* საქართველოს ბრძანა – ვინც დღევანდელ ჩემს სიკეთეს ვერ ხედავს, ამ სიკეთით რომ თავადაც იალაღობს, მასზეა ზედგამოჭრილი: შურიანი კაცი დახრჩობას გადაარჩინეს და გადამრჩენის ვაჟკაცობაც შეშურდაო.

* პარლამენტს სხდომათა დარბაზის თვალსაჩინო ადგილას გასაკრავად შესთავაზეს: გასროლილ ტყვიას და წამოსროლილ სიტყვას უკან ვეღარ დაიბრუნებო.

* ქრთამსჩახუტებულ მოსამართლეს შეუტიეს: ცხვართან მუდამ მართალია, თუ დაჰკითხე მხოლოდ მგელიო.

* ბრუნდეგზით ნაშოვნი მილიონებით რომ ვერ გაძლა, ჩაუანდაზეს: ხარბი გამოსცადეს – ყელამდე ოქროში უნდა ჩავსვათო, და ალვის ხეს კენწეროზე მოექცაო (მეორე ხარბმა კი თავი მოიკლა – ახალი სასაფლაო გაუხსნიათ და არავინ მიმასწროსო).

* ყველას, უკლებლივ რომ ეხება: კი არ გაქებენ, ან გლანძღავენ, თავს იქებ, ან ილანძღავო.

* დღევანდელობამ ჰკითხა საქართველოს – ამდენი გაზეთი რომ გამოდის, განა რა აქვს ამდენი სათქმელიო, და – მათი უმრავლესობა ყველაფერს როშავს და მხოლოდ მთავარი სიბრძნე ავიწყდება:

„შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა, განა
სუყველას სმა უნდა,
პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა
სუყველას თქმა უნდა".

* სოფელმა დაიჩივლა – ქალაქმა თოხი გამომიგზავნა და მეთოხე წამართვაო.

* დათვი შემოხვდა მგელს და – თურმე ადამიანს ანდაზა ჰქონია: „კაცი კაცისთვის მგელიაო", და კიდევ – კარგი მგელი მგელისთვის კაცი არააო.

* თამადას საახალწლო ნადიმზე არც მეზობლების სადღეგრძელო გამორჩა, თან ანდაზით შეამაგრა: კბილმა დაიჩივლა – ჩემი საქმე მაშინ წახდა, გვერდის მეზობლები რომ დავკარგეო.

* მცირეხელფასიანმა შესჩივლა საქართველოს – საქმე მომთხოვე: ოღონდ საქმის ჰოვსილა მიბოძე, დიახ: თუ გინდათ რომ ბავშვი წესიერად კვებოს, ჯერ ძიძა გააძღეთო.

* საქართველომ ბრძანა – უპირველესად დამიზუსტეთ ვინ ვინ არი, ხომ მოგეხსენებათ: ნაგავი ოქროს ყუთშიც ნაგავია, ოქრო კი ნაგვის ყუთშიც ოქროაო.

* კაცს რომ მდგომარეობით აფასებენ, მათ მოუხდებათ: წამქცევს უცნობსაც იცნობენ, წაქცეულს ძმასაც არაო.

* კაცს, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონეს, ჩაუნაკვესეს: ვირს რომ კუდი მოაჭრეს და ყროყინი მორთო, კუდმა შეუტია – შე ოხერო, მე ვირი წამაჭრეს, ხმას არ ვიღებ და შენ კუდისთვის რა გაღრიალებსო?!

* საქართველომ ბრძანა – ტრაბახს მოუკვდეს პატრონი: საქმემ თქვა – გამაკეთე თუ გამაფუჭე, გაჩუმდი, ორივეჯერ მე ვლაპარაკობო.

* საქართველო გაგულისდა – ღმერთო, დაწყევლოს გადადებული საქმე, მასზეა ნათქვამი: საქმე გადადებულიო, ბოლმა გადიდებულიო.

* ხელმძღვანელნო! ხალხის ნდობა დნობამდე არ დაიყვანოთო.

ვახტანგ ჯავრიშვილი

## მოსკოვის ელიტა და ზურაბ წერეთელი

ბამორიცხული არაა, რომ ზურაბ წერეთლის სკულპტურული ნამუშევრის დასადგმელად შეირჩეს ლუბიანკა. მანამდე დადიოდა ხმა, რომ ლუბიანკის მოედნის ცენტრში, 1991 წელს აღებული „რკინის ფელიქსის" ადგილას, ქალაქის მესვეურები აღადგენდნენ აქ ადრე არსებულ, სკულპტორ ივან ვიტალის კომპოზიციებით შემკულ XIX საუკუნის ცნობილ შადრევანს. მაგრამ მოსკოვის ხელისუფალთა მიერ დამტკიცებულ შადრევანთა განთავსების სქემაზე ლუბიანკა არაა აღნიშნული. როგორც ამბობენ, წერეთელმა ვიტალიც დაამარცხა.

## განქორწინებისათვის ეს თანხა რომ საქართველოში იყოს გადასახდელი, ვინ მამაკაცი დაანგრევდა ოჯახს...

თუ ხმებს დავუჯერებთ, პოპ-მუსიკის ვარსკვლავი მაიკლ ჯექსონი ამერიკის მოქალაქეობას ცვლის ავსტრალიურზე, სადაც მდიდართა განქორწინება ჯერაც ყველაზე იაფია მსოფლიოში. სამი თვის წინ სწორედ ავსტრალიაში ჯექსონი დაქორწინდა მედდა დებბი როუიზე, რომელიც მისგან ფეხმძიმედაა. მაგრამ წყვილის განქორწინება სათუო საქმეა, ამტკიცებენ პოპ-ვარსკვლავის აგენტები. საქმე ისაა, რომ ავსტრალიაში დადებული საქორწინო კონტრაქტით როუი მშობიარობის შემდეგ მიიღებს „ერთდროულ დახმარებას" – 1,25 მილიონ დოლარს, ყოველწლიურ შემწეობას – 280 ათას დოლარს, ხოლო განქორწინების შემთხვევაში, თუ ბავშვი მამას დარჩება (თუ დედას ჩამოერთმევა ბავშვის მონახულების უფლება), ქალი მიიღებს 2,3 მილიონ დოლარს. თუ ამგვარი კონტრაქტი აშშ-ში დაიდებოდა, ამ ქვეყნის კანონებით, ქალი განქორწინების შემთხვევაში მიიღებდა ქმრის ქონების ნახევარს, დაახლოებით 150 მილიონ დოლარს. ის, რომ ეს პირობები ჯექსონს არ აწყობს, განაცხადა მისი ფირმის მოხელემ, რომელიც შეფმა გააგდო იმის გამო, რომ მან გამოაქვეყნა ფოტოასლი 750 ათასი დოლარის ჩეკისა, რომელიც ვარსკვლავმა გაუგზავნა ავსტრალიის მთავრობას, რათა დაეჩქარებინა მისთვის მოქალაქეობის მიღება.

## რა, როდის და რომელ არხზე

### 10 თებერვალი, ორშაბათი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". „ორშაბათი მძიმე დღეა". „50/50" პაემა. 20.00 „მოამბე". 20.35 „ვიდეოპატრული 02". 20.40 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). რამპა. 22.30 ქართული მხატვრული ფილმი „ციხესიმაგრე" 23.50 „ქეიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები. სპორტული ესტაფეტა (გასული კვირის მსოფლიო სპორტის მნიშვნელოვანი ინფორმაციები). 21.30 „ინფორმაცია მეორე არხი". რეკლამა. 22.00 მხატვრული ფილმი „თავზეხელაღებულთა კუნძული" (მთ. როლში ჯინა დევისი). პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

**კავკასია** 11.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 11.15 მულტფილმები. 11.30 რეკლამა და მუსიკა. 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი. 15.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. მულტფილმი. დოკუმენტური სერიალი.

**ОРТ** 8.00 Телеканал "Доброе утро". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 2.35 Новости. 11.15 "Девушка по имени судьба". Сериал. 12.00 Поле чудес. 13.10 "Ураза-Байрам". 14.20 КВН-97. 16.20 Программа Эд.Радзинского "Загадки истории". "Иоанн Мучитель". Часть 1-я. 17.20 Мультсериал. 17.45 Марафон-15. 18.00 Звездный час. 18.40 "Карин и ее собака". Заключительная серия. 19.10 ...До шестнадцати и старше. 19.35 Вокруг света. 20.15 "Девушка по имени судьба". 21.10 Час пик. 21.35 Угадай мелодию. 22.00 Понедельник с В.Познером. "Мы". 22.45 Спокойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.45 Сериал "Полтергейст". 0.40 Евгений Лебедев в серии "ЖЗЛ". 1.10 Жизнь и смерть Пушкина: Марлен Хуциев - "История замысла". Никита Михалков в фильме Сергея Соловьева "Станционный смотритель". 2.55 Пресс-экспресс.

**РТР** 9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. 11.20, 12.55, 13.15 Товары - почтой. 10.25 "Клубничка". Сериал. 10.55 Дорогая редакция. 11.30 Шоу долгоносиков. 12.05 "Санта-барбара". 13.25 Деловая Россия. 14.05 За околицей. 14.20 Караоке по-русски. 14.50 Палиха-14. 14.55 Автограф. 15.00 Последнняя дорога Пушкина. 15.55 Магазин недвижимости. 16.20 Мультфильмы. 18.00 Вместе. 18.25 Домашний доктор. 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "Клубничка". 21.10 Двойной портрет. 21.40 VIP. 22.35 Шоу долгоносиков. 23.10 "Санта-барбара". 0.10 Добрый вечер с И.Угольниковым. 1.30 "На коне". Телелотерея. 1.55 Матч звезд НБА. Передача из Кливленда.

### 11 თებერვალი, სამშაბათი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რეკორდი". XXI. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). ასპარეზი. TBC სტუდია გთავაზობთ. პროგრამის დასასრულს – „ქეიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები. სპორტული გადაცემა „გოლი". „პოდიუმი". 21.30 „ინფორმაცია მეორე არხი". რეკლამა. 22.30 მხატვრული ფილმი „მონპარნასი-19" (მთ. როლებში: ჟერარ ფილიპი და ანუკ ემე).

**კავკასია** 11.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 11.15 მულტფილმები. 11.30 რეკლამა და მუსიკა. 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „ქუჩის მებრძოლი" (მთ.როლში ჟან-კლოდ ვან დამი). 15.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. ჩვენი სტუმარი TBC სტუდია.

**ОРТ** 8.00 Телеканал "Доброе утро". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.30 Новости. 11.15 "Девушка по имени судьба". Сериал. 12.00 Программа В.Познера "Мы". 12.40 Смехопанорама. 13.10 Мультфильм. 13.30 Угадай мелодию. 14.10 Худ.фильм "долгие проводы". 15.45 Мультфильм. 15.50 КВН-ассорти. 16.20 Программа Эд.Радзинского "Загадки истории". "Иоанн Мучитель". Часть 2-я. 17.20 Мультсериал. 17.45 Квартьете "Веселая квампания". 17.55 Мультитроллия. 18.10 Волшебный мир, или Синема. 18.40 Премьера молодежного сериала "Нико и его друзья". 19.10 ...До шестнадцати и старше. 19.35 Вокруг света. 20.15 "Девушка по имени судьба". 21.10 Час пик. 21.35 Угадай мелодию. 22.00 В поисках утраченного. Любовь Орлова. 22.45 Спокойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.45 Комедия "Веселые ребята". 1.40 Тина Тернер в Москве. 2.55 Пресс-экспресс. 2.35 Сериал "Метод крекера".

**РТР** 9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. 11.20, 12.55, 13.15 Товары - почтой. 10.25 "Клубничка". Сериал. 10.55 Дорогая редакция. 11.30 "Аншлаг" представляет. 12.05 "Санта-барбара". 13.25 Деловая Россия. 14.05 За околицей. 16.20 Худ.телефильм Угрюм-река". 1-я с. 17.45 Царская ложа. 18.25 Манекен. 18.30 Ваше право. 19.15 Иванов, Петров, Сидоров и другие. 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "Клубничка". 21.10 Момент истины. 21.40 VIP. 22.35 "Аншлаг" представляет. 23.10 Телесериал "Санта-барбара". 0.10 Добрый вечер с И.Угольниковым. 1.30 Телетеатр. С.Давыдов. "День рождения Паганеля". 2.15 Звуковая дорожка. 3.10 Только для взрослых.

### 12 თებერვალი, ოთხშაბათი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". „პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო". „50/50". 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". 20.45 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). გაერთიანება „ილუზიონი" გთავაზობთ გადაცემა „პანორამას" ამერიკული მხატვრული ფილმი „ფულის ორმო". პროგრამის დასასრულს – „ქეიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები. სიყვარულის ისტორია. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.10 ქართული მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუკი" (მთ. როლებში: ოთარ კობერიძე, ლია ელიავა, დოდო ჭიჭინაძე და დოდო აბაშიძე). პროგრამის დასასრულს – მუსიკალური გადაცემა.

**კავკასია** 11.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 12.15 მულტფილმები. 12.30 რეკლამა და მუსიკა. 14.30 რუსული მხატვრული ფილმი „კანონიერი ქურდები". 16.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. ჩვენი სტუმარი TBC სტუდია.

**ОРТ** 8.00 Телеканал "Доброе утро". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.35 Новости. 11.15 "Девушка по имени судьба". Сериал. 12.00 В поисках утраченного. Любовь Орлова. 12.40 В мире животных. 13.15 Мультфильм. 13.30 Угадай мелодию. 14.10 Фрунзик Мкртчян в фильме "Танго нашего детства". 15.40 Мультфильм. 15.50 КВН-ассорти. 16.20 Программа Эд.Радзинского "Загадки истории". "Тайна Лжедмитрия". 17.20 Мультсериал. 17.45 Кактус и К. 17.55 До-ми-соль. 18.10 Зов джунглей. 18.40 "Нико и его друзья". Молодежный сериал. 19.10 ...До шестнадцати и старше. 19.35 Вокруг света. 20.15 "Девушка по имени судьба". 21.10 Час пик. 21.35 Угадай мелодию. 22.00 Тема. 22.45 Спокойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.45 Все фильмы Гайдая. Михаил Пуговкин в комедии "Спортлото-82". 1.45 Бал олимпийцев в Москве. 2.35 Пресс-экспресс. 2.55 Пресс-экспресс. 2.50 Остросюжетный сериал "Метод крекера". 3.40 Великие хиты.

**РТР** 9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. 11.20, 12.55, 13.15 Товары - почтой. 10.25 "Клубничка". Сериал. 10.55 Дорогая редакция. 11.30 Хамелеон. 12.05 "Санта-барбара". 13.25 Деловая Россия. 14.05 За околицей. 14.20 Момент истины. 14.50 Экспоместник. 14.55 Автограф. 15.00 Совершенно секретно. 15.55 Магазин недвижимости. 16.25 "Угрюм-река" 2-я с. 17.45 Репортаж ни о чем. 18.00 Окно. 18.25 Экспоместник. 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "Клубничка". 21.10 Лицо кавказской национальности. 21.40 VIP. 22.35 Хамелеон. 23.10. Санта-барбара. 0.10.Добрый вечер с И.Угольниковым. 1.30 Тихий дон. Программа С.Шолохова. 2.10 "Легенды Большого". Б.Покровский. 3.00 Только для взрослых.




7 თებერვალს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – №449858; | 70 ლარი – *98752; |
| 1000 ლარი – №562678; | 60 ლარი – *13555; |
| 900 ლარი – №624607; | 50 ლარი – *17091; |
| 800 ლარი – №693762; | 40 ლარი – *17044; |
| 700 ლარი – №542923; | 30 ლარი – *41867; |
| 600 ლარი – №312977; | 25 ლარი – **7649; |
| 500 ლარი – №262735; | 20 ლარი – **9667; |
| 400 ლარი – №702973; | 10 ლარი – ***967; |
| 300 ლარი – №555200; | 10 ლარი – ***042; |
| 200 ლარი – №320696; | 10 ლარი – ***529; |
| 100 ლარი – №392563; | 10 ლარი – ***243; |
| 90 ლარი – *24030; | 10 ლარი – ***187. |
| 80 ლარი – *70597; | |

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეოთხე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის" ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12–დან – 14 სთ–მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ–მდე, 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის V ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **8188** გათამაშებაზე შეუძლიათ 14 თებერვალს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა „ვაზ–2105" მოიგო ლატარიის ბილეთმა №**580220**.

შიმშილობა და დიეტა არ შველის – ისევ იმატებთ. ჩვენ დაგეხმარებით დიეტისა და ვარჯიშის გარეშე მიიღოთ და შეინარჩუნოთ სასურველი შედეგი.
ტელ. 22–55–70 ლელა



ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს–აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93–15–89

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, სავიზიტო ბარათების, ნებისმიერი
სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის
ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას
(აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე).
გვაქვს ავტონომიური დენის წყარო.
მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. ჩვენი ტელეფონია:
93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე, გარდა კვირისა.

# კროსვორდი




**თარაზულად:** 5. ავტორის ხელით შესრულებული „გრაფიკული" ხელნაწერი; 11. ცხოველებთან „მალულად" დაკავშირებული „ანი"; 14. „ოსების" მგზნებარება, აღმაფრენა; 15. სიგრძის საზომი „მასწავლებელი" (ფრანგ). 16. „მინი" მოვერცხლისფრო ლითონი; 19. სახელმწიფოს ერთპიროვნულად მმართველი „მონა"; 21. „მტირალა" შენობა სასროლად; 24. „სურდოიანი" შეუსაბამობა, უაზრობა; 27. „ტურების" დასალევი წამალი; 28. ავტო „ტანჯვა" (რუს.კავშ.); 29. „მებრძოლი" გერმანელი ფიზიკოსი; 30. „ლუპა", რომელსაც სიცილიაში მკვლელობისთვის იყენებდნენ; 32. „შალ" მოსხმული სამხედრო წოდება; 35. მატადორი, რომელიც „ტოროს" იმახის; 37. საგანგებო დავალებების „სია"; 38. „ლაფიანი" უნებლიე შეცდომა; 39. „ტორებიანი" შემქმნელი; 40. მაროს „კლიკა" (ფილმ.კავშ.); 41. „პაჟებით" დაკომპლექტებული მომსახურე პერსონალი.

**შვეულად:** 1. ყველაზე ხნიერი „სალა"; 2. რუკაზე დატანილი „შტაბი"; 3. დეკორატიული მცენარე, რომელიც „ნოლია"; 4. „წყვილი ხუმარა" თვითმფრინავში (რუს.კავშ.); 6. „პირიანი" კაციჭამია; 7. „უმი" ნარკოტიკი; 8. მაღალმთიანი ზონა, სადაც უამრავი „პური" მოდის; 9. ჭიქის მსგავსი, დანაყოფებიანი „ზურა"; 10. „რაჭაში" ანთებული „ლამპა"; 12. „ესპანური ფულის" მიმდევარი; 13. ელექტროობის „ორი" სპეციალისტი; 17. „ტორებიანი" სამკურნალო დაწესებულება; 18. ციური სხეულების სამოძრაო გზა, რომელიც „გაჭრილია" (რუს.კავშ.); 20. კოლექტიური „ნარდი"; 22. „გალიაში" ჩაკეტილი წარჩინების ნიშანი; 23. „კარადიანი" მეჯლიში; 25. „სონის" ფირმის ქარი; 26. ქტარანტინოს მიერ გადაღებული ფილმი „ნაგავზე"; 27. ერთი და იმავე ფერის „მობლატავე" „კაროლი" და „დამა"; 31. იატაკზე დასაგები „ორთქლის" ქეჩი (რუს.კავშ.); 33. ინგლისელი ფიზიკოსი, რომელსაც „სველი" ჰქონდა; 34. „კანიანი" ცხვრის ნაშიერი; 36. „დოლზე" დამკვრელი რუსი მომღერალი; 37. „ჭკარტლით" ადამიანის ზელა (რუს.კავშ.).

აკაკი ცოტაძე

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 7. ბახტრიონი; 8. ვალენსია; 9. ატლასი; 10. ნაფოტი; 11. ლაიფციგი; 12. აზიანი; 14. ანტენა; 16. ბორზია; 18. პილპილი; 19. ლამარია; 20. ყიფიანი; 22. იდიოტია; 24. აბულია; 27. მინდია; 29. ბალბო; 30. კარაბინი; 31. ბალადა; 32. უსტარი; 33. მისისიპი; 34. ნატრიუმი.

**შვეულად:** 1. ბაპტიზმი; 2. დობილი; 3. პიანინო; 4. ყვავილი; 5. ალანია; 6. დიქტანტი; 13. ნეიძიანი; 15. ნემეზიდა; 16. ბიბლია; 17. ალალია; 21. იმიტაცია; 23. იპოდრომი; 25. ბარანია; 26. ილიგანი; 28. აკაცია; 29. ბიუსტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული დიაგონალვორდის პასუხები

**დიაგონალურად:** 1. ალმანახი; 3. ლინკოლნი; 5. სიგარეტი; 13. ალბანეთი; 17. ინტუიცია; 21. ასლამაზი; 25. მონაზონი; 27. დარკვეთი; 29. ლომბარდი; 27. ამერიკა; 38. ინდაური; 39. ესპანეთი.

**შვეულად:** 1. ადელაიდა; 27 ისპანახი; 3. ლისაბონი; 4. ასპირინი; 5. სინაგოგა; 6. ინვალიდი; 14. ტირი; 15. მორი; 16. ნევა; 18. ტივი; 19. მოლა; 20. რეზო; 22. პერუ; 23. რენო; 24. ზორო; 25. მარადონა; 26. ალკასარი; 27. დილიჟანი; 28. იპოდრომი; 29. ლებანიძე; 30. იერიონი.

**ჰორიზონტალურად:** 1. აუქციონი; 3. ლაშარელა; 5. სამოვარი; 7. სირტაკი; 8. სურამი; 9. ანანასი; 10. ირტიში; 11. ალადინი; 12. იელისი; 13. არტემონი; 17. ინტიმური; 21. ასპარეზი; 25. მარაკანა; 27. დავიდოვი; 29. ლანჩხუთი; 31. ლანცეტი; 32. პარიზი; 33. არბიტრი; 34. დარიკო; 35. არადანი; 36. ოსკარი; 37. არსენა; 38. ირკუტსკი; 39. ერქემალი.

ვიწყებთ უფასო განცხადებების გამოქვეყნებას
დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ეროვნული ბიბლიოთეკა